ვაღუჩი მოდებაძე
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩეჩენი ერის ბრძოლა თავისუფლებისათვის

თბილისი
2015

გამომცემლობა გრიფონი
ISBN 978-9941-449-33-8

სარჩევი

შესავალი.....4

ჩეჩენი ერის ურთიერთობები და
ისტორიულ-კულტურული კავშირები
მეზობელ ხალხებთან.....10

ჩეჩნეთი რუსეთის იმპერიისა და
საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.....27

ჩეჩნეთის პირველი ომი.....46

ჩეჩნეთის მეორე ომი.....75

დასკვნა.....96

შესავალი

ჩეჩნები ტრაგიკული ბედის მქონე ხალხია. დედამიწის ზურგზე ალბათ იშვიათად მოიძებნება ერი, რომელსაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში იმდენი მსხვერპლი გაეღოს, რამდენიც პატარა, თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენმა ერმა გაიღო. ჩეჩნებმა მთელი თავისი უშრეტი ენერგია „ბოროტების იმპერიის“ წინააღმდეგ ბრძოლას შეალიეს და ეს ბრძოლა დღესაც არ წყდება. რუსეთისათვის ჩეჩნეთი ყოველთვის იყო და კვლავ რჩება „აქილევსის ქუსლი“ კავკასიაში.

ჩეჩენი ერის სწრაფვა თავისუფლებისაკენ ყველაზე კარგად არის ასახული იჩქერიის ეროვნულ ჰიმნში. ამ ჰიმნის სათაურშივე ვლინდება ჩეჩენი ერის გმირული ბუნება:

თავისუფლება ან სიკვდილი!

იმ ღამეს ვიშვით, როცა ლეკვებს ყრიდა ძუ მგელი,
დილით დაგვარქვეს სახელები ლომის ღრიალში,
მთის არწივების საბუდარში გვ ზრდიდნენ დედები,
კლდეებ ზე ჯირითს გვასწავლიდნენ გ მირი მამები.
ამ მიწა-წყლისთვის, მამულისთვის გვ ზარდეს დედებმა.
და განსაცდელში ჩვენს სამშობლოს მტკიცედ დავიცავთ,
მთის თავისუფალ არწივებთან ერთად დავ ზრდილვართ,
სიძნელეები ღირსეულად დაგვიძლევია.
ეს გრანიტის კლდე, ტყვიასავით დადნება უმალ,
ვიდრე ბრძოლაში ჩვენ დავკარგავთ კაცურ ღირსებას,
უმალ გასკდება დედამიწა მ ზის სიმხურვალით,
ვიდრე მიწაში ჩავიდოდეთ სულგაყინულნი.
ქედს არ მოვიხრით არასოდეს არვის წინაშე,
ჩვენ ერთი გ ზა გვაქვს: სიკვდილი ან თავისუფლება!

ჭრილობებს დები სიმღერებით მოგვიშუშებენ,
ხოლო სატრფონი აღგვანთებენ ისევ საომრად.
ხის ფესვებს დავღრღნით, შიმშილმა თუ შემოგვიტია,
ცვარ-ნამს შევსრუტავთ, წყურვილმა თუ დაგვრია ხელი,
იმ ღამეს ვიშვით, როცა ლეკვებს ყრიდა ძუ მგელი,
უფალს, ჩვენს მოდგმას, ჩვემს მიწა-წყალს ვემსახურები.

ჰიმნში კარგად არის გადმოცემული თუ რად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩეჩენი ერი თავისუფლებას და ჩეჩნეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ჩეჩენისათვის თავისუფლება არის უმაღლესი ღირებულება. სიტყვა „სიკვდილს“ ჩეჩნეთის ეროვნულ ჰიმნში დიდი ფილოსოფიური დატვირთვა აქვს: სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნა ანუ თავისუფლების დაკარგვა ჩეჩენისათვის სიკვდილის ტოლფასია.

ძნელია არ დავეთანხმოთ ცნობილ რუს მწერალს, სოლჟენიცინს, რომელიც თვლიდა რომ „ერთადერთი ერი რომელიც არ შეეგუა რუსეთის იმპერიის აგრესიას და განუწყვეტელ, შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა დამპყრობლის წინააღმდეგ იყო ჩეჩენი ერი.“ რუსეთთან დაპირისპირებამ ხშირად გადაშენების პირას მიიყვანა ჩეჩენი ერი, მაგრამ სიმამაცით განთქმულ ჩეჩენ ხალხს ფარ-ხმალი არასოდეს არ დაუყრია. დაუძინებელ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა ჩეჩენი ერის უდიდესი ნაწილი, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენ ხალხს ქედი მაინც არავისთვის არ მოუდრეკია.

ჩეჩნები კავკასიის მკვიდრ, ავტოქტონურ მოსახლეობას შეადგენენ, რომლებიც უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ კავკასიაში. კავკასიას შემთხვევით არ უწოდებენ „ენების მთას.“ ამ რეგიონში, რომლის საერთო ფართობი 440.000 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, ორმოცდაათზე მეტი

სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს.

ენობრივი და ეთნიკური მრავალფეროვნებით განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასია გამოირჩევა. იშვიათად შევხვდებით მსოფლიოში ეთნიკურად ისეთ ჭრელ რეგიონს როგორიც ჩრდილოეთ კავკასიაა. ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით კავკასია სამ ენობრივ ჯგუფად იყოფა: კავკასიური, ინდო-ევროპული და ალტაური. კავკასიური ენები თავის მხრივ იყოფა ოთხ

ენობრივ ჯგუფად: ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური ენები (23). ლინგვისტურ სიჭრელეს ემატება კულტურული, რასობრივი და რელიგიური განსხვავებები სხვადასხვა ერებს შორის, რომლებსაც უხდებათ ამ პატარა რეგიონში ერთად თანაცხოვრება. ეთნიკურმა, რასობრივმა, რელიგიურმა და ენობრივმა მრავალფეროვნებამ კავკასია პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილად აქცია და ეთნოლინგვისტური სიჭრელე კვლავ რჩება კონფლიქტების მთავარი გამომწვევი ფაქტორი ამ რეგიონში (4).

ჩეჩნები, ინგუშები, ბაცბები და ქისტები მონათესავე ერები არიან და მათი ენები მიეკუთვნება ნახურ ენათა ჯგუფს. ჩეჩნები თავიანთ თავს „ნოხჩოს“ უწოდებენ, ხოლო ინგუშები – „ღალღას“. დღეისათვის ფართოდ გავრცელებული ეთნონიმები „ჩეჩენი“ და „ინგუში“ რუსული ტერმინებია, რომლებიც მაშინ დამკვიდრდა, როდესაც რუსებმა პირველად დაამყარეს კონტაქტები ვაინახებთან. ეთნონიმი „ჩეჩენი“ და „ინგუში“ რუსების მოსაზღვრე ვაინახური სოფლების სახელებიდან წარმოიშვა (30). სხვა ჩრდლოეთ კავკასიის ერებისაგან განსხვავებით, ჩეჩნებმა შეძლეს რუსიფიკაციის თავიდან აცილება და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ჩეჩნური ენა დღემდე რჩება თითქმის ყველა ჩეჩენისათვის მშობლიურ ენად და ვერ მოხერხდა მისი ჩანაცვლება რუსული ენით.

ჩეჩნეთის მოსახლეობამ ხშირი ომების გამო დიდი ზარალი ნახა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩეჩნეთში მიმდინარე ომების შედეგად დაიღუპა რესპუბლიკის მოსახლეობის მინიმუმ 20 პროცენტი, 180.000-დან 250.000-მდე კაცი. დაახლოებით 350.000

ჩეჩენი იძულებული შეიქმნა ქვეყანა დაეტოვებინა 1999-2002 წლებში. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მაინც შეინიშნება მოსახლეობის მატება. თუ ჩეჩნეთის პირველი ომის დასასრულს, 1996 წელს ქვეყანაში დაახლეობით 820.000-დან 860.000-მდე კაცი ცხოვრობდა, 2010 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 1.268.989 აღწევს.

ჩეჩნეთის მოსახლეობა რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დაწყებამდე მრავალეთნიკური იყო. 1989 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად ჩეჩნები შეადგენდნენ ქვეყნის მოსახლეობის 66%-ს. ომის გამო სხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა და ეროვნულმა უმცირესობებმა, მათ შორის რუსებმა, უკრაინელებმა, ინგუშებმა და სომხებმა ჩეჩნეთი დატოვეს, რის გამოც ქვეყანა მონოეთნიკური გახდა და დღეისათვის თითქმის მხოლოდ ჩეჩნებით არის დასახლებული. 2010 წლის მონაცემების თანახმად ჩეჩნები ქვეყნის მოსახლეობის 95 %-ს შეადგენენ. როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები ეროვნული უმცირესობების რაოდენობა ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა. რუსების რაოდენობა შეადგენს მხოლოდ 1.9 %-ს (24.382), ყუმიხების - 1 %-ს (12.221), ხოლო ინგუშებისა – 0.1 %-ს (1.296). თუ სომხების რაოდენობა ომის დაწყებამდე, 1989 წელს დაახლოებით 15.000 (1.4%) იყო, დღეისათვის მათი რიცხვი ძალზე შეზღუდულია და სულ რამოდენიმე ოჯახით შემოიფარგლება.

ჩეჩნური დიასპორა გვხვდება სხვადასხვა ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა დაღესტანში, მოსკოვში და ახლო აღმოსავლეთში (ერაყი, სირია, იროდანია, თურქეთი). მათი უმრავლესობა ახლო აღმოსავლეთში მუჰაჯირობის დროს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხვდა.

ჩეჩნეთის მოსახლეობის ზრდის დინამიკა

ეთნიკური ჯგუფი	1926 წ.		1939 წ.		1959 წ.		1970 წ.		1979 წ.		1989 წ.		2002 წ.		2010 წ.	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
ჩეჩნები	293.298	67,3%	360.889	58,0%	238.331	39,7%	499.962	54,7%	602.223	60,1%	715.306	66,0%	1.031.647	93,5%	1.206.551	95,1%
რუსები	103.271	23,7%	213,354	34,3%	296.794	49,4%	329.701	36,1%	309.079	30,8%	269.130	24,8%	40.645	3,7%	24.382	1,9%
ყუმიხები	2.217	0,5%	3.575	0,6%	–	–	6.865	0,8%	7.808	0,8%	9.591	0,9%	8.883	0,8%	12.221	1,0%
ავარები	830	0,2%	2.906	0,5%	–	–	4.196	0,5%	4.793	0,5%	6.035	0,6%	4.133	0,4%	4.864	0,4%
ნოღაელები	162	0,1%	1.302	0,2%	–	–	5,503	0,6%	6.079	0,6%	6.885	0,6%	3.572	0,3%	3.444	0,3%
ინგუშები	798	0,2%	4.338	0,7%	3.639	0,6%	14.543	1,6%	20.855	2,1%	25.136	2,3%	2.914	0,3%	1.296	0,1%
უკრაინელები	11.474	2,6%	8.614	1,4%	11.947	2,0%	11.608	1,3%	11.334	1,1%	11.884	1,1%	829	0,1%	–	–
სომხები	5.978	1,4%	8.396	1,3%	12.136	2,0%	13.948	1,5%	14.438	1,4%	14.666	1,4%	424	0,1%	–	–
სხვა	18.042	4,1%	18.646	3,0%	37.550	6,3%	28.057	3,1%	25,621	2,6%	25.800	2,4%	10.639	1,0%	16.231	1,3%
სულ	436.070	100%	622.020	100%	600.397	100%	914.383	100%	1.002.230	100%	1.084.433	100%	1.103.686	100%	1.268.989	100%

ჩეჩენი ერის ურთიერთობები და ისტორიულ-კულტურული კავშირები მეზობელ ხალხებთან

ჩეჩენ ერს ქართველებთან მრავალსაუკუნოვანი მეზობლობა, მჭიდრო ისტორიული და კულტურული სიახლოვე აკავშირებს. ეს ურთიერთობები საერთო ადათ-წესებით, გენეტიკური ნათესაობით და საერთო კავკასიური წარმომავლობითაც არის განმტკიცებული.

ქართველურ და ვაინახურ ტომებს შორის ურთიერთობები უძველესი დროიდან იღებს დასაბამს. ქართულ ისტორიულ წყაროებში თანამედროვე ვაინახთა წინაპრები ნახჩებად, ღლიღვებად, ძურძუკებად ან დურძუკებად მოიხსენებიან. ძურძუკები (დურძუკები) ცენტრალური კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე სახლობდნენ და მჭიდრო კავშირები ჰქონდათ საქართველოსთან. მჭიდრო ისტორიული კონტაქტების დამადასტურებელი საბუთია ასევე ის, რომ ჩეჩნების მონათესავე ბაცბები და ქისტები საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ქართველებთან საერთო წეს-ჩვეულებები და გენეტიკური ნათეოსაობა აკავშირებთ. ანტიკური ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეებამდე ძურძუკეთი საქართველოს გავლენის სფეროდ ითვლებოდა და იქ ქართული კულტურა, დამწერლობა და ადათ-წესები ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა. ძურძუკებს ქართველებთან ინტენსიური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ჰქონდათ. ხშირად ხდებოდა ძურძუკების (დურძუკების) მიგრაცია საქართველოს მთიან რაიონებში. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თანახმად ვაინახური ტომების პირველი ნაკადი საქართველოში

ჩვ. წ. III საუკუნეში შემოვიდა. მათ დროთა განმავლობაში ასიმილაცია განიცადეს და გაქართველდნენ. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს ქართველთა სახელოვან მეფეს ფარნავაზს, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლად და დამაარსებლად არის აღიარებული, ცოლად ჰყავდა ძურძუკი ქალი. ამ ქალისაგან ფარნავაზს გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც სახელად საურმაგი ერქვა, რაც ვაინახების ენაზე „ყოვლისშემძლეს“ ნიშნავდა (16).

„ქართლის ცხოვრებიდან“ ირკვევა რომ დურძუკები ქართველი მეფის, საურმაგის მოკავშირეები იყვნენ და გაჭირვების ჟამს მას მხარში ედგნენ. როდესაც საურმაგს ქართლის ერისთავები და დიდგვაროვნები აუჯანყდნენ და მისი მოკვლა განიზრახეს, მან დახმარებისათვის ძურძუკეთს (დურძუკეთს) მიმართა. როგორც კი მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა „წარვიდა ფარულად, და ილტვოდა, და წარიტანა თანა დედაი მისი, და მივიდა დურძუკეთს დედისძმათა მისთა თანა“ (14).

საურმაგმა ძურძუკების (დურძუკების) დახმარებით ურჩი ერისთავების, დიდგვაროვნების აჯანყება ქართლში ადვილად ჩაახშო და მეფის ცენტრალური ხელისუფლება განამტკიცა. „და საურმაგ შეკრიბა დურძუკეთიცა და წამოემართა ქართველთა ზედა, და ვერავინ წინა-აღუდგა მას. და დაიპყრა ყოველი ქართლი და მოსრნა განდგომილნი მისნი, და რომელთამე შეუნდო, ხოლო დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ყვნა აზნაურნი, ხოლო განმრავლებულ ყვნა დურძუკნი, ნათესავნი კავკასისნი“ (14).

ამ აჯანყების ჩახშობის შემდეგ, როგორც „ქარ-



ნახური ტომების განსახლების არეალი კავკასიაში.

თლის ცხოვრებიდან“ ირკვევა, საურმაგმა ძურძუკები (დურძუკები) საქართველოს ტერიტორიაზე დაასახლა, ურჩი დიდგვაროვნები ჩამოაქვეითა და მათ ადგილზე მისი ერთგული ძურძუკები (დურძუკები) დააწინაურა. „მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანა იგინი, ყოველთა კავკასიისა ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“ (14).

ძურძუკებისა და ვაინახური ტომების მიგრაცია საქართველოში მომდევნო საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა და პერიოდულად მეორდებოდა. (XIII, XVIII, XIX და XX საუკუნე). ვაინახების საქართველოში მიგრაცია სხვადასხვა მიზეზებით იყო გამოწვეული (მტრებთან ხშირი ომები და კონფლიქტები, მცირემიწიანობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, სისხლის აღების ტრადიცია და ა.შ.) ამ მიგრაციების შედეგად ჩნდება ჩეჩნების კომპაქტური დასახლებები საქართველოს

მთიან რეგიონებში. მათი ნაწილი ასიმილაციას განიცდის, ნაწილი კი ინარჩუნებს ეროვნულ იდენტობას. მაგალითად პანკისის ხეობაში ჩამოსახლებული ქისტები არ ივიწყებენ თავიანთ წარმომავლობას და დღემდე ლაპარაკობენ მშობლიურ ენაზე. (13)

საქართველოს გავლენა ძურძუკეთზე განსაკუთრებით გაძლიერდა XI-XIII საუკუნეებში, როდესაც საქართველო თავისი ძლევამოსილების მწვერვალზე იმყოფებოდა. „მეფე მზის“ – თამარის მეფობის დროს საქართველოს გავლენა ვრცელდებოდა მთელ ჩრდილოეთ კავკასიაზე და იქ მოსახლე ერებზე, მათ შორის ვაინახებზეც. ვინაიდან წარმართობას მთაში ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, ამიტომაც თამარ მეფეს ქრისტიანობის გავრცელება კავკასიის მთებში ცეცხლითა და მახვილითაც უწევდა. როგორც „ქართლის

ცხოვრებიდან“ ირკვევა, ამ დროს ძურძუკები ქართველების მოკავშირეები იყვნენ და მათთან ერთად იბრძოდნენ კავკასიაში წარმართების წინააღმდეგ.

როდესაც 1212 წელს ფხოელებმა და დიდოელებმა ამბოხება მოაწყვეს და საქართველოს სამეფოს განუდგნენ, თამარმა თავისი სახელოვანი სარდალი ივანე მხარგრძელი გაგზავნა მთაში აჯანყების ჩასახშობად. ფხოელებისა და დიდოელების წანააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში ივანე ათაბაგს მხარი დურძუკებმა (ძურძუკებმა) დაუჭირეს. „ცნეს რა მისვლა ათაბაგისა, მოვიდეს ძღუენითა მეფენი დურძუკეთანი, მოსცნეს ლაშქარნი და დაუდგეს გუერდს. და იწყეს ზეიდამ ბრძოლა, რბევა და კლვა და ტყუეობაი და დაწუვა; და მოსწყვიტეს ურიცხვ კაცი დიდო და ფხოელი, და დაყვნეს სამნი თუენი: ივნისი, ივლისი და აგვისტოსი. მაშინ შეიწრებულთა ათაბაგისაგან მოსცეს მძევლები, აღუთქუეს მსახურებაი და ხარაჯა, და მისცეს პირი სიმტკიცისა, ქმნეს ზავნი. და წარმოასხა მძევლები, და ესრეთ გამარჯუებულნი მოვიდეს წინაშე მეფისა და რქუა ივანე ათაბაგმა მეფესა თამარს: ძლიერო მეფეო! იქმნა ბრძანება შენი, და მოვაოხრენ ურჩნი მეფობისა შენისანი დიდიოეთი და ფხოეთი.“ (14)

თამარ მეფემ კარგად იცოდა, რომ მეამბოხეთა დამორჩილება მარტო ცეცხლითა და მახვილით ვერ მოხერხდებოდა, საჭირო იყო ამ მხარის იდეოლოგიურ-სარწმუნოებრივი შემომტკიცება. ამიტომაც ხდებოდა ეკლესია-მონასტრების მშენებლობა კავკასიის მთებში და იქ ქართველი მისიონერების მიერ ქრისტიანული რელიგიის გავრცელება. ამ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე აშენდა

მრავალი ქართული საზოგადოებრივი და საკულტო დანიშნულების ძეგლი. ამის დამადასტურებელი საბუთია არღუნის და ასას ხეობებში აღმოჩენილი ქართულ ეკლესიათა ნანგრევები, ქვის ჯვრები, ქართული წარწერები და ხელნაწერები. ვაინახებში დღემდე ფართოდ არის გავრცელებული ქართული ტერმინები. მაგალითად ჩეჩნეთში, ხილდიხაროს ხეობაში გვხვდება ქართული კულტურის გავლენით წარმოქმნილი ტოპონიმები (ქერისტიე, ცაცახი, ჩამრა, მოზღარი, მეციხ, და ა.შ.) ჩეჩნურ ენაში დღემდე არის შემორჩენილი ქართული წამრომავლობის სიტყვები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დურძუკებს მთაში მცხოვრებ ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ.

თხაბა-ერდის (ტყობა-ერდის) ეკლესია – შუა საუკუნეების ტაძარი ინგუშეთში.

თხაბა-ერდი (ტყობა-ერდი). ერთ-ერთი ვერსიის თანახმად დაარსდა თამარ მეფის დროს, ქართველი მისიონერების მიერ.

თხაბა-ერდის (ტყობა ერდის) ტაძრის ინტერიერი

თხაბა-ერდის (ტყობა ერდის) ტაძრის ინტერიერი

თხაბა-ერდის (ტყობა ერდის) ტაძრის ინტერიერი

ინგუშეთის ტერიტორიაზე მრავლადაა შუასაუკუნეებისდროინდელი ჯვრიანი კოშკები.

ტაძარი სოფელ დოშხაკლეში.

სოფელ თარგემთან მდებარე ეკლესია.

ტაძარი მაგი-ერდი.

სოფელ გაპის მახლობლად მდებარე ტაძარი.

ალბი-იერდის ეკლესია ინგუშეთში.

სანამ ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობა იყო გავრცელებული, ვაინახები ქართველების მოკავშირეებად რჩებოდნენ და ავბედით წუთებში მათ დახმარებას უწევდნენ. მემატიანის ცნობით, საქართველოს დაუძინებელი მტრის, ჯალალედინის მეორე შემოსევის დროს 1226-1227 წწ. ძურძუკებმა და ჩრდილოეთ კავკასიელებმა ქართველების მხარდამხარ იბრძოლეს და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ხვარაზმელებს. რუსუდან მეფემ განსაცდელის ჟამს „მოუწოდა ყოველსა სპათა თვისთა“, აქტიურად შეუდგა ჯარის შეკრებას და საქართველოს დარაზმვას პირსისხლიანი მტრის წინააღმდეგ, გახსნა „კარნი დარიალისანი და გარდამოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი. შეკრბეს ნაჭარმაგევსა სიმრავლე ურიცხვ და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხვარაზმელთა.“ (15) თუმცა სასტიკ და უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიელების, მათ შორის დურძუკების მხარდაჭერას.

ქართული სახელმწიფოს დაკნინებასთან და კავკასიაში თათარ-მონღოლების გამოჩენასთან ერთად, იწყება ორ მეზობელ ხალხს შორის მჭიდრო ურთიერთობების შესუსტება. თემურ-ლენგის შემოსევათა შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში იწყება მაჰმადიანობის გავრცელება, რომელმაც ახალი პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული ტენდენციები წარმოშვა. თანდათანობით იშლება კავკასიელთა რელიგიურ-კულტურული ერთიანობა და დროთა განმავლობაში ქრება ვაინახებსა და ქართველებს შორის არსებული მყარი ალიანსი. ქრისტიანობის ისლამით ჩანაცვლებას

საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა და ჩეჩნების გამაჰ-მადიანებაც გვიან, XV-XVI საუკუნეებში მოხდა. (1)

„მას შემდეგ ჩეჩნები სუნიტური ისლამის მიმდე-ვარნი იყვნენ, თუმცა მათი რელიგია ინარჩუნებდა წარმართობის დამახასიათებელ ნიშნებს. ყოველ შემ-თხვევაში, რუსებთან კონტაქტის პირველ პერიოდში ისინი არ იყვნენ ფანატიკურად რელიგიურები, მაგრამ ყველაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ შეიძლებოდა, სწორედ ასეთები გამხდარიყვნენ.“ (18)

კავკასია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგ-რაფიული მდებარეობის გამო ხშირად მეზობელი სა-ხელმწიფოების, რუსეთის, თურქეთისა და ირანის ინტერესების სფეროში ექცეოდა. XVI საუკუნიდან მოყოლებული კავკასიაში ჰეგემონობის მოსაპოვებ-ლად ეს ძლევამოსილი სახელმწიფოები მუდმივად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. მონღოლეთის იმ-პერიისაგან განთავისუფლების შემდეგ, ივანე IV მმარ-თველობის დროს რუსეთმა ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობა მოახერხა 1552-1556 წლებში და უშუალოდ კავკასიას დაუმეზობლდა. ამრიგად კავ-კასია რუსეთის იმპერიის ინტერესთა სფეროში XVI საუკუნეში მოექცა. ამ პერიოდში ჩნდება პირველი რუსული ახალშენები და ციხესიმაგრეები კავკასიაში. ჩეჩნეთის მიწაზე სუნჯასა და თერგის შესართავთან და თერგის ნაპირებზე შენდება კაზაკთა ქალაქები და დასახლებები. საწყის ეტაპზე ურთიერთობა ჩეჩ-ნებსა და კაზაკებს შორის მეტად მშვიდობიანი იყო და მთლიანად აგებული იყო ურთიერთპატივისცემის პრინციპზე. (6) იმ დროს კავკასია ირან-ოსმალეთის ომის ასპარეზი იყო და კავკასიის სახელმწიფო მოღვა-

წენი ცდილობდნენ რუსეთთან მჭიდრო კავშირების დამყარებას, რადგან რუსეთში ხედავდნენ იმ ძალას, რომელსაც შეეძლო ირანისა და ოსმალეთიის აგრესიის შეჩერება. რუსეთთან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ როგორც ქართველი მეფეები, ასევე ჩრდილოეთ კავკასიელი მთავრები. ამ პერიოდში რუსეთთან დიპლომატიურ კავშირებს ამყარებენ კახეთის მეფეები და ყაბარდოს მთავრები. რუსეთს მფარველობას სთხოვენ ასევე ჩეჩნეთის სახელმწიფო მოღვაწენი. 1588 წელს მოსკოვს პირველი ჩეჩნური დელეგაცია ეწვია და ჩეჩნეთის ერთ-ერთ ფეოდალურ სამფლობელოსა და მოსკოვის მთავარს შორის ვასალური ურთიერთობები გაფორმდა.

ჩეჩნებსა და რუსებს შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც რუსეთის მეფეებმა აგრესიული კოლონიური პოლიტიკის გატარება დაიწყეს კავკასიაში. XVIII საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში მკვეთრად გამოხატული კოლონიური ექსპანსიის ხასიათს იძენს, რის გამოც მწვავდება ურთიერთობა რუსებსა და ჩეჩნებს შორის. რუსეთი ყველა ღონეს მიმართავს კავკასიაში თავისი ბატონობის განსამტკიცებლად. იმპერიული პოლიტიკის ერთ-ერთი ნაცადი ხერხი ახლად შემოერთებულ მიწებზე რუსებისა და კაზაკების დასახლება იყო, რაც საფრთხეს უქმნიდა კავკასიელი ხალხების ეროვნულ თვითმყოფადობას. რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა თავისი მოკავშირეების კავკასიაში ჩასახლებას და დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლას ამ რეგიონში. ჩეჩენი ერის ეროვნულ თვითმყოფადობას სერიოზული საფრთხე მაშინ დაემუქრა,

როდესაც რუსეთის იმპერიამ დაიწყო კაზაკების დასახლებების მკვეთრი გაზრდა ჩეჩნეთის დაბლობზე და ჩეჩენი ხალხის საუკეთესო მიწებზე. რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა მიზნად ისახავდა ჩეჩენი ერის თანდათანობით გარუსებას და მათ ასიმილაციას. ამ დროიდან კავკასიაში იწყება ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლები, შეიარაღებული გამოსვლები და აჯანყებები რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.



კაზაკების განსახლების არეალი კავკასიაში.

ჩრდილოეთ კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ერების დაპყრობა ძალზე რთული პროცესი იყო და რუსეთის იმპერიას ყოველთვის დიდი მსხვერპლის ფასად უჯდებოდა მათი დამორჩილება. 1785 წელს ყაბარდოსა და ჩეჩნეთში აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც სათავეში ჩეჩნეთის ეროვნული გმირი, შეიხ მანსური ჩაუდგა. მან ჩრდილოეთ კავკასიელი მუსლიმი ხალხები გააერთიანა და რუსების წინააღმდეგ დარაზმა. მანსურის მიერ ორგანიზებულმა აჯანყებამ საკმაოდ დიდი მასშტაბი

მიიღო, მეზობელ ოლქებშიც გადაინაცვლა და მოიცვა დაღესტნის, ინგუშეთის, ყაბარდოს და ჩერქეზებით დასახლებული შავი ზღვისპირეთის ტერიტორია. (35) მისი მიზანი ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები მაჰმადიანების გაერთიანება და ერთიანი ისლამური სახელმწიფოს შექმნა იყო. მანსურ უშურმა ისტორიაში შესულია როგორც ჩეჩნეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პირველი ლიდერი, რომელმაც რუსებს საღვთო ომი – ღაზავათი გამოუცხადა. მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა მოახერხეს მის მიერ ორგანიზებული აჯანყების ჩახშობა და 1791 წელს შეიხ მანსურის დატყვევება, ანტირუსული გამოსვლები და აჯანყებები კავკასიაში მაინც არ შეწყვეტილა.

რუსეთის იმპერიამ ჩეჩნების დამორჩილება მხოლოდ მას შემდეგ შესძლო, რაც 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო შეიერთა და სამხრეთ კავკასია

КАВКАЗ в 1-ой пол. XIX в.
Границы государств в 1801 г.
Границы государств в 1829 г.
1 - Дзаро-Белоканские владения
2 - Ишкуйское султанство
50 0 50 100 км
РОССИЙСКАЯ ИМПЕРИЯ
ЧЕРНОЕ МОРЕ
КАСПИЙСКОЕ МОРЕ
ОСМАНСКАЯ ИМПЕРИЯ
ИРАН (ПЕРСИЯ)
Кубинское ханство
Шекинское ханство
Ширванское ханство
Карабахское ханство
Нахичеванское ханство
Эриванское ханство
Талышское хан.
Дербентское хан.
Ханство
Грузия
Имеретия
Мингрелия
Абхазия
Карачай
Кабарда
Осетия
Чечня
Дагестан
Тифлис
Баку
Шемаха
Эривань
Нахичевань
Карс
Трапезунд
Сухум-Кале
Поти
Батум
Анапа
Керчь
Тамань
Ставрополь
Моздок
Кизляр
Грозная
Тарки
Дербент
Ленкорань
Ардебиль
Тавриз
Хой
Маранд
Орадгал
Эрзерум
Трабзон
Сивас
Амасия
Кастамуни
Синоп
Самсун
Анкара
Бурса
Измир
Эдирне
Адрианополь
Константинополь
Гюмрю (Александрополь)
Эчмиадзин
Ордубад
Нуха
Шуша
Гянджа
Елизаветполь
Сальяны
Ардебиль
Тифлис
Кутаис
Сухум
Анапа
Керчь
Тамань
Екатеринодар
Ставрополь
Моздок
Кизляр
Грозная
Тарки
Дербент
Баку
Шемаха

დაიპყრო. ამირგად, ქართლ-კახეთის სამეფოს რუ-სეთთან შეერთებამ იმპერიას გაუადვილა ჩრდილოეთ კავკასიელებისა და ჩეჩნების დამორჩილება. რუსეთის იმპერია ქართლ-კახეთის სამეფოს „შემოერთების“ პარალელურად აქტიურად იწყებს თავისი გავლენის განმტკიცებას ჩრდილოეთ კავკასიაში.



ჩეჩნეთის ეროვნული გმირი მანსურ-უშურმა.

ჩეჩნეთი რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში

19-ე საუკუნეში რუსეთი იწყებს აგრესიული ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარებას ჩრდილოეთ კავკასიაში, რის გამოც იძაბება ურთიერთობა რუსებსა და ჩეჩნებს შორის. რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაეჩქარებინა ჩრდილოეთ კავკასიის კოლონიზაცია, რომ უფრო მჭიდრო კავშირები დაემყარებინა საქართველოსთან და ტრანსკავკასიის სხვა ქვეყნებთან. ოსმალეთის იმპერიისა და ირანის დამარცხების შემდეგ, რუსეთს შესაძლებლობა მიეცა მთელი თავისი სამხედრო პოტენციალი და რესურსები კავკასიელ მთიელთა დასამორჩილებლად გამოეყენებინა. სპარსეთი რუსეთთან დაპირისპირებას უკვე ვეღარ ბედავდა და არც ოსმალეთის დასუსტებულ იმპერიას არ შესწევდა უნარი წინ აღსდგომოდა რუსეთის ექსპანსიას კავკასიაში. ჩრდილოეთ კავკასიის ერებს კი მარტო უწევდათ ბრძოლა რუსული კოლონიალიზმის და რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

რუსეთის იმპერიის მიერ კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა ანტირუსული გამოსვლები და კავკასიის ომები 1817-1864 წლებში. რუსების წინააღმდეგ ორგანიზებულ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ხუნძი პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე, დაღესტანში, ავარულ სოფელ გიმრში დაბადებული შამილი (2). მან შესძლო დაღესტნელების, ჩეჩნებისა და ჩერქეზების გაერთიანება და 1820-1830-იან წლებში თეოკრატიული სახელმწიფო – იმამატი შექმნა. ეს სახელმწიფო მედგარ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთს და აქტიურად იბრძოდა ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

შამილი, რომელიც ისლამური სამყაროს მიერ გმირად არის აღიარებული, მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკას იყენებდა. მოულოდნელად თავს ესხმოდა მტერს დაღესტნის მიუვალ მთებში ან იჩქერიის უღრან ტყეებში, სადაც უპირატესობას მთიელები ფლობდნენ, რუსები კი წარმოუდგენელ წინააღმდეგობასა და სირთულეებს აწყდებოდნენ. შამილმა, რომელიც სამხედრო საქმის ბრწყინვალე მცოდნე იყო, მთიელებისაგან შექმნა კარგად ორგანიზებული და ძალზე მობილური არმია.

ახტის ციხე-სიმაგრეზე იერიშის მიტანა. 1848 წელი.

შამილის სამხედრო სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა ის გახლდათ, რომ მას, სურვილისამებრ, უმოკლეს დროში შეეძლო საკუთარი ჯარების მობილიზება და გაშვება, რაც მას საშუალებას აძლევდა ემოქმედა ძალიან სწრაფად და მტრის წინააღმდეგ შეტევა განეხორციელებია ნებისმიერ დროს. როგორც ჯონ ფ. ბედლი თავის წიგნში „რუსეთის მიერ

კავკასიის დაპყრობა“ წერს: „შამილის სტრატეგია იმ დროისათვის მართლაც უზადო იყო. დილიმში განლაგებული მთავარი პოზიციიდან ის საფრთხეს უქმნიდა მტერს ჩრდილოეთში, დასავლეთსა და სამხრეთში – მუდმივ მოძრაობაში ჰყავდა თავისი რაზმები. სადეესანტო – სადივიზიო ნაწილს ხან სახლებში უშვებდა და ხან, თითქოს ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით, სწრაფადვე კრებდა. მთიელთა რაზმების განსაცვიფრებელი მობილურობის წყალობით, რომლებსაც არც ბარგი სჭირდებოდათ, არც ეკიპირება, არც საკვების მარაგი, რუსებს თავს ესხმოდნენ სწორედ იმ ადგილას, სადაც ეს მათთვის ნაკლებად მოსალოდნელი იყო“ (18).

შამილმა შესძლო ეთნიკური ნიშნით დაყოფილი მთიელების გაერთიანება, ასწავლა მათ ბრძოლა საერთო საქმისათვის და დროთა განმავლობაში მიაჩვია კავკასიელები დისციპლინას. ის მოითხოვდა რომ ყველა უსიტყვოდ დამორჩილებოდა მის ბრძანებებს. შამილი დაუნდობელი იყო მათ მიმართ, ვინც არღვევდა მის მიერ დადგენილ წესებსა და კანონებს. მან მკაცრი დისციპლინა დაამყარა თავის არმიაში: ერთგულებს და მამაც მეომრებს გულუხვად ასაჩუქრებდა, ხოლო მხდალ და ლაჩარ მამაკაცებს მკაცრად სჯიდა. „მათ, ვინც ფიცს დებდა, რომ საჭიროების შთხვევაში სიცოცხლეს გაწირავდა შამილისათვის, თვეში ორ ტომარა ფქვილს ურიგებდნენ, ხოლო ფაფახის წინა მხარეს ოთკუთხა მწვანე ნაჭრის ტარების უფლებას აძლევდნენ; მას, ვინც ბრძოლაში სიმხდალეს გამოიჩენდა, ზურგზე მეტალის იარლიყს აკერებდნენ, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ დასახიჩრებას ან სიკვდილს გადაურჩებოდა. შამილი შეუბრალებელი გახლდათ,

როდესაც მის პრინციპებსა და ავტორიტეტს საფრთხე ემუქრებოდა; ის აღმოსავლელი დესპოტების ყაიდაზე დადიოდა – ჯალათის თანხლებით, რომელსაც ზეაღმართული გრძელტანიანი ნაჯახი ეჭირა თავისა და ხელების მოსაჭრელად არა მარტო მაშინ, როდესაც ამას შარიათი დაადგენდა, არამედ მის მიმართ გამოხატული მცირედი არალოიალურობის შემთხვევაშიც კი“ (18).

შამილი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩეჩნეთში ტყის შენარჩუნებას. ტყე ძნელბედობის ჟამს ხალხის თავშესაფარს წარმოადგენდა, სწორედ ის იფარავდა მთიელებს რუსი სამხედროებისაგან და რუსული არმიის იერიშებისაგან. ხშირ შემთხვევაში ტყე განაპირობებდა ომის წარმოების ტაქტიკას და ომის ბედს წყვეტდა. 19-ე საუკუნეში ჩეჩნეთის უმეტესი ნაწილი უღრანი ტყეებით იყო დაფარული და სანამ ტყე არსებობდა ჩეჩნები უძლეველები იყვნენ. მშობლიურ ტყეებსა და მთებში ბრძოლის დროს ამ ხალხს ბადალი არ ჰყავდა. შამილს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ტყის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პარტიზანული ომის წარმოება რუსების წინააღმდეგ. ის ჩეჩნებისაგან მოითხოვდა ტყის დაცვას და მკაცრად სჯიდა ყველას, ვინც კანონს დაარღვევდა და მისი ნებართვის გარეშე ხეს მოჭრიდა. „თითოეული მოჭრილი ხის ჯარიმა ან ძროხა იყო, ან ხარი, უარეს შემთხვევაში, დამნაშავეს აულის ცენტრში სიკვდილით სჯიდნენ. მისი გვამი ერთი კვირის განმავლობაში სახრჩობელაზე ეკიდა სხვების გასაფრთხილებლად.“ (18)

შამილი 25 წლის განმავლობაში 20.000 მეომრით წარმატებით იბრძოდა 280.000 კაციანი რუსული ჯარის

წინააღმდეგ, სანამ 1859 წელს ტყვეობაში არ ჩავარდა და დაღესტნის სოფელ ღუნიბში რუსებს დანებდა. ის თავის ოჯახთან ერთად კალუგაში გადაასახლეს, რის შემდეგაც მის მიერ შექმნილმა თეოკრატიულმა სახელმწიფომ – იმამატმა არსებობა შესწყვიტა.

„მთის არწივი“ შამილი

დაღესტნისა და ჩეჩნეთის იმამი – შამილი შვილებთან ერთად.

შამილი რუსებს ნებდება. ალექსეი კივშენკოს ნახატი.

შამილის დატყვევების შემდეგ ბრძოლა თავისუფლებისთვის ჩეჩნეთის ტერიტორიაზე კიდევ ორი წელი გაგრძელდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლეგენდარული ჩეჩენი სამხედრო მეთაური, ბაისუნგურ ბენოელი. (20) 1864 წელს მთიელთა წინააღმდეგობა შეწყდა და კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ ასობით ათასი ჩრდილოეთ კავკასიელი გადასახლებულ იქნა ოსმალეთში, მათ მშობლიურ მიწებზე კი რუსი „კოლონისტები“ დაასახლეს. (1) რუსეთის კოლონიური უღლის წინააღმდეგ მიმართული შემდგომი ბრძოლები ლოკალური გამოსვლებით ხასიათდება და მასშტაბურ ხასიათს აღარ იღებს.

კავკასიის სისხლისმღვრელმა ომებმა ჩეჩენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იმსხვერპლა. კავკასიის

ომების (1817-1864) დაწყებამდე ჩეჩნეთის მოსახლეობა ერთ მილიონს აღემატებოდა. (ზოგიერთი ისტორიკოსის, მაგალითად ა. როგოვის აზრით ჩეჩნეთის მოსახლეობა 1847 წელს 1.5 მილიონს აღემატებოდა) რუსები დაუნდობლები იყვნენ ჩეჩნების მიმართ, მათთვის ყველა მეთოდი გამართლებული იყო მიზნის მისაღწევად.

რუსი ჯარისკაცები მთლიანად ანადგურებდნენ ჩეჩნურ სოფლებს, სადაც მხოლოდ ქალები და ბავშვები იყვნენ დარჩენილნი (კაცებს ამ დროს ბრძოლის ველზე უწევდათ ყოფნა). რუსები არაჰუმანურად ეპყრობოდნენ ჩეჩნებს, წარმოუდგენელ სისასტიკეს იჩენდნენ, ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, წვავდნენ მათ სახლებს, ანადგურებდნენ მოსავალს. (36) ბრძოლის შემდეგ ხშირად იყენებდნენ „გადამწვარი მიწის“ ტაქტიკას, რის შედეგადაც არაერთი ჩეჩნური სოფელი, დასახლება, ქალაქი „აღიგავა პირისაგან მიწისა.“ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა გენერალი ერმოლოვი, რომელიც ხშირად აწყობდა „სადამსჯელო ღონისძიებებს“ ჩეჩნების წინააღმდეგ. ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო, კავკასიის ომების შემდეგ ჩეჩნეთის მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა. ნ. გ. ვოლკოვას აზრით 1867 წელს ჩეჩნეთში ცხოვრობდა მხოლოდ 116.000

ბაისუნგურ ბენოელი

კაცი და მათ უმრავლესობას ინვალიდები და კოჭ-ლი ხალხი შეადგენდა. ჩეჩენი ერის ლეგენდარული მეთაურიც, ბაისუნგურ ბენოელიც კი ინვალიდი იყო. მას მხოლოდ ერთი ფეხი, ერთი ხელი და ერთი თვალი ჰქონდა. (20)

ბრძოლა რუსებსა და ჩეჩნებს შორის ოთხ საუ-კუნეზე მეტი გაგრძელდა. რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში წარმოებული საუკუნეობრივი ბრძოლების შედეგად განადგურდა ჩეჩენი ერის დაახლოებით 90 პროცენტი. ფრიდრიხ ბოდენშტედტი თავის წიგნში „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლები-სათვის რუსების წინააღმდეგ“ წერს: „რუსეთი მრა-ვალი საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა ჩეჩნების წინააღმდეგ, თუმცა ვერასოდეს ვერ ახერხებდა მათ საბოლოო დამარცხებას.“ (31) კრემლთან ბრძოლისა და დაპირისპირების საუკუნეობრივი ტრადიცია, რომ-ლის შენარჩუნება ჩეჩნეთის მცირერიცხოვან ერს ყო-ველთვის დიდი მსხვერპლის ფასად უჯდებოდა, ბოლ-შევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგაც გაგრძელდა.

1918 წლის მაისში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და დააარსეს ჩრდი-ლოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა. ამ დროს რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და წლების განმავლობაში მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძო-ლები თეთრებსა და წითლებს შორის კავკასიის დაუფლებისათვის. გენერალმა დენიკინმა, რომელიც იყო მოხალისეთა არმიის ლიდერი, გადამწყვეტ ბრძო-ლაში დაამარცხა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რეს-პუბლიკის არმია, მაგრამ 1919 წლის შემოდგომაზე შეიხ უზუნ ჰაჯიმ შექმნა ჩრდილოეთ კავკასიის ემი-

რატი ჩეჩნეთის მთებში და სათვეში ჩაუდგა დენიკინის წინააღმდეგ ორგანიზებულ ამბოხებას. დენიკინი იძულებული შეიქმნა უკან დაეხია და თავისი შეიარაღებული ძალები გამოეყვანა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკიდან. ბოლშევიკებმა, რომლებიც თავდაპირველად თანამშრომლობდნენ შეიხ უზუნ ჰაჯისთან, მოახდინეს ჩრდილოეთ კავკასიის სრული ოკუპაცია, რის გამოც იფეთქა ახალმა აჯანყებამ ჩეჩნეთში 1920 წლის აგვისტოში. (21)

1921 წელს ვლადიკავკაზში მთიელ ხალხთა კონგრესი გაიმართა, რომელშიც სტალინი პირადად მონაწილეობდა. ამ კონგრესზე გადაწყდა მთის ხალხთა საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის დაარსება, რომლის შემადგენლობაში ჩეჩნები, ინგუშები, ოსები, ყაბარდოელები, ბალყარელები და ყარაჩაელები შედიოდნენ. ახლად დაარსებულ რესპუბლიკას ფართო ავტონომია მიენიჭა და მას შეეძლო საშინაო საქმეების დამოუკიდებლად წარმართვა. რესპუბლიკას გადაეცა ყველა ის ტერიტორიები, რომლებიც მთიელებს რუსეთის მეფეებმა წაართვეს. (21)

1922 წლის ნოემბერში ჩეჩნეთი მთის ხალხთა საბჭოთა სოციალისტურ ავტონომიურ რესპუბლიკას გამოეყო. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩეჩნეთს თავდაპირველად, 1922 წელს ავტონომიური ოლქის სტატუსი მიანიჭა, ხოლო 1934 წელს ჩეჩნეთისა და ინგუშეთის გაერთიანებით შექმნა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც 1936 წელს გადაკეთდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. (12)

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ჩეჩნეთი

აჯანყებებმა მოიცვა. ჩეჩნები ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოკავშირეები იყვნენ 1924 წლის აჯანყების დროს. პანკისის ხეობა ითვლებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის ბაზად, სადაც შეთქმულთ ქისტი თანამოაზრეები ჰყავდათ. 1922 წლის სექტემბრის დამლევს ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის თანამოაზრეებთან და შეფიცულთა რაზმთან ერთად იძულებული გახდა ჩეჩნეთში გადასულიყო. ჩოლოყაშვილს განზრახული ჰქონდა ჩეჩნებთან გაერთიანება და რუსების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დაწყება. მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა, ერთიანი ძალებით შეტევა გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩეჩენი ლიდერები დააპატიმრა, რის გამოც ისინი ვერ ჩაერთვნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ ორგანიზებულ აჯანყებაში.

ჩეჩენთა უკმაყოფილებას იწვევდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა, განსაკუთრებით იძულებითი კოლექტივიზაცია. იძულებითი კოლექტივიზაციის პროცესი დაიწყო 1920-იან წლებში, რამაც გამოიწვია სახალხო აჯანყება ჩეჩნეთში 1929-1932 წლებში. ამას საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან რეპრესიები მოჰყვა (მარტო 1932 წელს 35 ათასი კაცი იქნა რეპრესირებული).

თუმცა საბჭოთა წყობილების დამყარება უარყოფითი მოვლენა იყო კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ერებისათვის და მას უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია, ამ პერიოდში პოზიტიური ძვრებიც მოხდა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. საგრძნობლად გაიზარდა წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა, განვითარდა მრეწველობა და კულტურა. 1920-იან და 1930-იან წლებში გროზნოში

დაარსდა ისტორიის, სოციოლოგიისა და ფილოლოგიის ინსტიტუტი. ამ პერიოდში ჩეჩნეთი გადაიქცა ყველაზე განვითარებულ ინდუსტრიულ რესპუბლიკად ჩრდილოეთ კავკასიაში. საბჭოთა კავშირში ჩეჩნეთი მეორე ადგილს იკავებდა ნავთობის მოპოვებაში და დიდ როლს თამაშობდა სსრკ-ს ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის განმტკიცების საქმეში. (12)

მიუხედავად ზემოთ დასახელებული პოზიტიური ფაქტორებისა, საბჭოთა წყობილების კავკასიაში დამყარებამ დიდი ზიანი მიაყენა ჩეჩენ ერს. „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით 1930-იან წლებში კომუნისტებმა დაიწყეს ჩეჩნური ელიტის განადგურება. 1937 წლის მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ ჩეჩნური ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამ რეპრესიებმა შეიწირა ჩეჩნებისა და ინგუშების დაახლოებით 2 პროცენტი. ამავე წელს „ენკავედე“-მ დაიწყო „ანტი-საბჭოური“ ელემენტებისაგან ჩრდილოეთ კავკასიის გაწმენდა, რამაც ჩეჩნების გაღიზიანება და ჩეჩნეთში საპროტესტო ტალღის აგორება გამოიწვია.

1939 წელს ჩეჩნებმა გააჩაღეს პარტიზანული ომი საბჭოთა მმართველობის წინააღმდეგ. 1940 წელს აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ჩეჩენი პოეტი ჰასან ისრაილოვი, რომელმაც ჩეჩნეთის სამხრეთ ნაწილში, მიუვალ მთებში პარტიზანების ბაზა შექმნა და აქტიურად დაიწყო მხარდამჭერების შეგროვება. (6) აჯანყებულებმა ჩეჩნეთში საბჭოთა ხელისუფლება დაამხეს და „ჩეჩნეთ-ინგუშეთის დროებითი სახალხო-რევოლუციური მთავრობა“ შექმნეს. გერმანელებმა სცადეს ჰასანთან შეთანხმების მიღწევა და საბჭოთა კავშირის

ჰასან ისრაილოვი

წინააღმდეგ ერთობლივად ბრძოლის წარმოება, მაგრამ ჩეჩნებთან თანამშრომლობის ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ისრაილოვი არ ენდობოდა მათ და თვლიდა რომ გერმანელებს ჩეჩენი ამბოხებულები მხოლოდ თავიანთი მიზნების მისაღწევად სჭირდებოდათ. მისთვის მიუღებელი იყო როგორც საბჭოთა, ასევე გერმანული იმპერიალიზმი. ჰასან ისრაილოვის აზრით გერმანელების გამარჯვება მეორე მსოფლიო ომში არსებითად ვერ შეცვლიდა ვითარებას კავკასიაში. ამ შემთხვევაში მოხდებოდა მხოლოდ ერთი დამპყრობის მეორეთი ჩანაცვლება. ჩეჩნებმა ასევე მშვენივრად იცოდნენ, რომ ჰიტლერის რასისტული თეორიების თანახმად ისინი, ისევე როგორც სხვა დანარჩენი კავკასიელი ხალხები, არიულ რასას არ მიეკუთვნებოდნენ. ბოლო მიზეზი, რის გამოც არ შედგა ჩეჩნურ-გერმანული ალიანსი, იყო გერმანელების აქტიური თანამშრომლობა ჩეჩნების დაუძინებელ მტრებთან, კაზაკებთან. იმ პერიოდში კაზაკებსა და ჩეჩნებს შორის კვლავ გრძერლდებოდა გაუთავებელი კონფლიქტები მიწების გამო. ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო

ისრაილოვის ამბოხებულებს ფაშისტურ გერმანიასთან ურთიერთობა გაუფუჭდათ.

მეორე მსოფლიოს ომის დროინდელი გერმანული პროპაგანდისტული პლაკატები. გერმანელები კავკასიელებს თავისუფლებას ჰპირდებოდნენ.

1942 წლის ნოემბერში გერმანიის შეიარაღებული ძალები ვლადიკავკაზს მიუახლოვდნენ და მოზდოკს მიაღწიეს, მაგრამ მათ უკან დახევა მოუწიათ მას შემდეგ, რაც გერმანიის მეექვსე არმია სტალინგრადთან ბლოკადაში მოექცა და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ რუსებს დანებდა. ამრიგად, ჩეჩენ ამბოხებულებს მარტო მოუწიათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა.

საბჭოთა კავშირმა ამბოხებულების წინააღმდეგ მძიმე სამხედრო შეიარაღება, ტანკები და ავიაცია გამოიყენა, მაგრამ აჯანყების ჩახშობას მაინც დიდი დრო მოანდომა. აჯანყებულების დამარცხება მხო-

ლოდ 1942 წელს მოხერხდა. მასიური საავიაციო დაბომბვების შემდეგ „ენკავედე“-ს ჯარებმა საბოლოოდ შეძლეს აჯანყების სისხლში ჩახშობა. საბჭოთა კავშირი ამბოხებულებს სასტიკად გაუსწორდა. თუმცა გერმანელებს მეორე მსოფლიო ომის დროს ჩეჩნეთამდე არ მიუღწევიათ, ჩეჩნებს ბრალად დასდეს ფაშისტებთან თანამშრომლობა, ღალატი, საბჭოთა მოქალაქეების მასიური მკვლელობა, ძარცვა და გადაწყვიტეს შუა აზიასა და ციმბირში მათი დეპორტაცია. 1944 წელს სტალინის ბრძანებით ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ გაუქმდა (მის ნაცვლად შეიქმნა გროზნოს ოლქი ახალი საზღვრებით) და განხორციელდა ჩეჩნების, ინგუშების და სხვა კავკასიელი ხალხების დეპორტაცია ცენტრალურ აზიაში (ყაზახეთი, ყირგიზეთი და ციმბირი). სტალინი თვლიდა რომ დეპორტაცია იყო სადამსჯელო ოპერაცია, რომელიც განხორციელდა „მოღალატე ერების“ ნაცისტურ გერმანიასთან კოლაბორაციის გამო (1).

სტალინის მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად, საბჭოთა იმპერიის შორეულ მხარეებში გადაასახლეს ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც მის მიერ აღიქმებოდა, როგორც საბჭოთა კავშირის პოტენციური მტრები. ამ ხალხის ძალით გადასახლება კიდევ ერთ მიზანს ემსახურებოდა, ამ პროცესს უნდა დაეჩქარებინა საბჭოთა კავშირის შორეული და ჩამორჩენილი რეგიონების განვითარება. საქართველოს ეროვნულ არქივში მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ 1920-იან წლებში საბჭოთა მთავრობას დაგეგმილი ჰქონდა გამოეყენებინა დეპორტირებული ხალხი მებამბეობის განვითარებისათვის, ასევე საბჭოთა კავშირის შორეულ რეგიონებში არსე-

ბული ბუნებრივი რესურსებისა და მინერალური სიმდიდრეების ექსპლუატაციისა და ათვისებისათვის (22). ამ სტრატეგიამ, რომელსაც სტალინი მუდმივად იყენებდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე, რადიკალურად შეცვალა საბჭოთა კავშირის ეთნიკური რუკა. ის ისეთი მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის გადასახლების მომხრეც კი იყო, როგორიც უკრაინელები არიან, მაგრამ ამ ეთნიკური ჯგუფის სიმრავლის გამო მან ვერ მოახერხა თავისი სასტიკი გეგმის განხორციელება.



РУКАЖЗ ის ერებია აღნიშნული, რომელთა დეპორტაცია განხორციელდა 1937-1949 წლებში.

1944 წელს მასიური დეპორტაცია შეეხო ჩეჩნებს, ინგუშებს, ბალყარელებს, ყირიმელ თათრებს, ყირიმელ ბერძნებს, ვოლგის გერმანელებს, მაჰმადი-

ან მესხებს, ქურთებს, ჰემშინებს, ყარაჩაელებს და ყალმუხებს. შუა აზიაში და ციმბირში გადასახლება ყველაზე ტრაგიკულ პერიოდად ითვლება ჩეჩენი ერის ისტორიაში. ბევრი დეპორტირებულთაგანი ვერ ეგუებოდა შუა აზიის მკაცრ კლიმატს, შიმშილს, სიცივეს და იღუპებოდა. ვისი დეპორტაციაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოახერხეს, ადგილზევე გამოასალმეს სიცოცხლეს. მხოლოდ ერთ სოფელში, ხაიბახში, ცოცხლად დაწვეს შვიდასამდე ადამიანი. ხაიბახი მაღალმთიანი დასახლებაა, სადაც მკაცრი ზამთარი იცის და დიდთოვლიანობის გამო მანქანები ვერ ახერხებს სოფელში ასვლას. როდესაც საბჭოთა ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ ზამთარში ხაიბახში მცხოვრები ჩეჩნების ტრანსპორტირება შეუძლებელი იყო, გადაწყვიტა მათი ადგილზე ლიკვიდაცია. იგივე ბედი გაიზიარა არაერთმა ჩეჩნურმა სოფელმა თუ დასახლებამ (26).

დაახლოებით 400.000 ჩეჩენი და ინგუში გადაასახლეს შუა აზიაში. მათი უმრავლესობა ჩაასახლეს ყაზახეთში. ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპა დეპორტაციის გამო. რუსული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გადასახლების შედეგად დაიღუპა მთელი ჩეჩენი ერის 30 %. ჩეჩნური წყაროები უფრო დიდ ციფრს ასახელებს. ჩეჩენი საზოგადო მოღვაწეების აზრით გადასახლებულთა 60-65% გარდაიცვალა შიმშილისა და სიცივისაგან.

საბჭოთა კავშირის ისტორიის ცნობილი მკვლევარის, აბდურახმან ავტორხანოვის აზრით, (მან საბჭოთა კავშირი დატოვა მეორე მსოფლიო ომის დროს და გერმანიას შეაფარა თავი), ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ს

გაუქმების რამოდენიმე მიზეზი არსებობდა:

1. ჩეჩნების პერმანენტული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და საბჭოთა დესპოტური სისტემის არაღიარება კავკასიელების მიერ.

1. კრემლის სურვილი გაემაგრებინა ზურგი დასავლეთთან მომავალი დაპირისპირების შემთხვევაში და არ დაეშვა საერთოკავკასიური ნაციონალური ფრონტის ჩამოყალიბება საბჭოთა მეტროპოლიიის წინააღმდეგ.

2. საბჭოთა ხელისუფლების მკვეთრად განსაზღვრული კურსი, რომ ხელში ჩაეგდო და აბსოლუტური კონტროლი დაემყარებინა კავკასიის ნავთობის რესურსებზე.

3. საბჭოთა ხელისუფლების სურვილი მოეხდინა კავკასიის სრული დაპყრობა, რომელიც გამოყენებულ იქნებოდა როგორც სამხედრო პლაცდარმი. კავკასია უნდა გარდაქმნილიყო სამხედრო პლაცდარმად თურქეთის, ირანის, პაკისტანის და ინდოეთის წინააღმდეგ და უნდა მომხდარიყო ამ რეგიონის გამოყენება მომავალი ექსპანსიისათვის.

ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო საბჭოთა რეჟიმმა ახალი გენოციდი მოუწყო ჩეჩენ ხალხს 1944 წელს და იძულებით გადაასახლა მთელი ერი ციმბირში და შუა აზიაში. გადასახლების შემდეგ ჩეჩნეთში მაინც დარჩნენ მცირერიცხოვანი პარტიზანული რაზმები, რომლებიც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ რუს იმპერიალისტებს 60-იანი წლების შუა ხანებამდე. გადასახლებულებს თავის სამშობლოში დაბრუნების საშუალება, მხოლოდ მას შემდეგ მიეცათ, რაც მოხდა ჩეჩენი და ინგუში ხალხის რეაბილიტაცია ნიკიტა ხრუშ-

ჩოვის მიერ 1957 წელს. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ისევ აღდგა, თუმცა მას რუსებმა ტერიტორიები ჩამოაჭრეს და მისი ფართობი საგრძნობლად შეამცირეს (1).

ჩეჩნეთის პირველი ომი

1991 წელს, როდესაც საბჭოთა იმპერია სულს ღაფავდა, ჩეჩნებმა ისევ განაახლეს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებამ გორბაჩოვის მეთაურობით ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმისა და საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაცია დაიწყო. ეს მომენტი კარგად გამოიყენეს ნაციონალისტურმა ძალებმა კავკასიაში, რომლებმაც აქტიურად დაიწყეს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობების ორგანიზება.

1990 წლის 27 ნოემბერს ჩეჩნეთ-ინგუშეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საბჭოთა კავშირიდან გასვლა გადაწყვიტა. ჩეჩნეთ-ინგუშეთის პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ, გააუქმა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და ჩეჩენ-ინგუშეთს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი მიანიჭა. ამ ნაბიჯის ინიციატორი იყო ჩეჩენი ხალხის საერთო-ნაციონალური კონგრესი, რომელსაც სათავეში ედგა საბჭოთა კავშირის საჰაერო ძალების ყოფილი გენერალი ჯოხარ დუდაევი. ჩეჩენი საზოგადო მოღვაწეების მტკიცებით საბჭოთა კანონმდებლობა ჩეჩნეთ-ინგუშეთს, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა სუბიექტებს, უფლებას აძლევედა გასულიყო სსრკ-ს შემადგენლობიდან. ამ აზრს არ იზიარებდა რუსეთის ხელისუფლება ბორის ელცინის მეთაურობით, რომელიც ამტკიცებდა რომ ჩეჩნეთს არ ჰქონდა დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი სსრკ-ში, ის შედიოდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში,

ამიტომაც საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად არ ჰქონდა რუსეთისგან გამოყოფის უფლება.

1991 წლის 27 ოქტომბერს საერთაშორისო დამკვირვებლების თანდასწრებით ჩეჩნეთში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში მონაწილეთა დაახლოებით ოთხმოც პროცენტზე მეტმა მხარი დუდაევს დაუჭირა და ჩეჩენმა ხალხმა სახელმწიფოს მეთაურად ჯოხარ დუდაევი გამოაცხადა (32). მან მიზნად დაისახა ჩეჩნეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

1991 წლის 1-2 ნოემბერს ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა „დე-იურედ" იქნა აღიარებული პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევისა და პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტებით.

1991 წლის 12 მარტს ჩეჩნეთის რესპუბლიკამ მიიღო კონსტიტუცია, რომლის პირველი მუხლის თანახმად ჩეჩნეთის რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც შეიქმნა ჩეჩენი ერის თვითგამორკვევის შედეგად. ამ კონსტიტუციით ჩეჩნეთის რესპუბლიკას უფლება აქვს დამოუკიდებლად წარმართოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

1992 წლის 25 მაისს ჩეჩნეთის ხელმძღვანელობამ რუსეთის ხელისუფლებასთან ხელი მოაწერა სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებას ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის შესახებ. ჩეჩნეთი პირველი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, საიდანაც 1992 წლის 7 ივლისს გამოყვანილ იქნა ამ ქვეყანაში მუდმივად დისლოცირებული რუსული სამხედრო შენაერთები.

1992 წლის 31 მარტს ჩეჩნეთის რესპუბლიკამ ხელი

არ მოაწერა ხელშეკრულებას რუსეთის ფედერაციის შექმნის შესახებ. ამრიგად, ჩეჩნეთის რესპუბლიკამ განვლო ყველა სამართლებრივი ეტაპი, რომ გამხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მაშინ როდესაც დუდაევი თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, ინგუშეთმა ჩეჩნეთისგან გამოყოფა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩენა გადაწყვიტა. ინგუშებს ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ ჩრდილოეთ ოსეთის მიმართ და თვლიდნენ რომ ამ პრეტენზიების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგუშეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩებოდა. (26) 1991 წლის 15 სექტემბერს ინგუშმა დეპუტატებმა მიიღეს რეზოლუცია რუსეთის ფედერაციის საზღვრებში ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფორმირების შესახებ. 1991 წლის 30 ნოემბერს და 1 დეკემბერს რეფერენდუმი ჩატარდა სამ ოლქში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ინგუშები შეადგენდნენ. მათ ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს ჩეჩნეთისგან ინგუშეთის გამოყოფას. 1992 წლის 4 ივნისს რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საბჭომ ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების თანახმად მიიღო კანონი ინგუშეთის რესპუბლიკის შექმნის შესახებ. დუდაევს და მის მიმდევრებს ინგუშებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ინგუშები ცდილობდნენ რომ რუსეთის დახმარებით დაებრუნებინათ დაკარგული ტერიტორიები ე.წ. „პრიგოროდნი რაიონი“. რუსეთის ხელისუფლების უუნარობამ, რომ მოეგვარებინა „პრიგოროდნი რაიო-

ნის“ საკითხი გამოიწვია კონფლიქტის ესკალაცია 1992 წელს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ინგუშებსა და ოს-ებს შორის. კონფლიქტმა დიდი უბედურება დაატეხა თავს ინგუშებს: დაიღუპა ასობით ადამიანი, დაინგრა უამრავი სახლ-კარი. ვლადიკავკაზში და პრიგოროდნი რაიონში მცხოვრები ინგუშები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილე-ბი და თავშესაფარი სხვაგან ეძებნათ. კონფლიქტი კვლავ მოუგვარებელი რჩება, რის გამოც ინგუშეთის რესპუბლიკის საზღვრების დემარკაცია ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

ინგუშების გენოციდი „პრიგორودნი რაიონში“

ინგუშების გენოციდი „პრიგოროდნი რაიონში“

მეორე მიზეზი, რის გამოც ინგუშეთმა გადწყვიტა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩენა, იყო ინგუშეთის ხელისუფლების სურვილი თავიდან აეცილებინა საკუთარი ხალხის მონაწილეობა რუსეთ-ჩეჩ-

ნეთის კონფლიქტში. ინგუშეთის პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა და ვიცე-პრეზიდენტმა ბორის აგაპოვმა ყველაფერი იღონეს, რომ ქვეყანა არ აღმოჩენილიყო რუსეთ-ჩეჩნეთის ომში ჩაბმული. მათ ასევე კონსტრუქციული როლი ითამაშეს რუსეთ-ჩეჩნეთის დაპირისპირების დროს და შუამავლის ფუნქცია შეასრულეს ორივე მხარისათვის. (21)

რუკაზე წითელი ფერით აღნიშნულია პრიგოროდნი რაიონი, დაკარგული ტერიტორია, რომლის დაბრუნებასაც ცდილობს ინგუშეთი.

ყველასათვის ცხადი იყო, რომ რუსეთი კავკასიიდან ასე მარტივად არ წავიდოდა და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება კრემლთან მწვავე კონფრონ-

ტაციის დაწყების მიზეზი გახდებოდა. რუსეთის ხელისუფლება ჩეჩნეთს ასე ადვილად არ დათმობდა და ნებისმიერი გზით შეეცდებოდა საკუთარი გავლენის შენარჩუნებას ამ ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, ჩეჩნებს მაინც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ებრძოლათ თავისუფლებისათვის.

ჩეჩენი საზოგადო მოღვაწეების აზრით რუსეთს არ გააჩნია არც ერთი იურიდიული დოკუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ ჩეჩნეთი ნებაყოფილობით შევიდა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. შესაბამისად ისინი თვლიან, რომ ჩეჩნეთი არასოდეს არ ყოფილა რუსეთის ან საბჭოთა კავშირის კანონიერი ნაწილი. რაც შეეხება თვითგამორკვევის უფლებას, ჩეჩნეთის რესპუბლიკა თვლის, რომ ამ უფლებას მას ანიჭებს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წელს. ამ პაქტის პირველ მუხლის თანახმად „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისაკენ. ყველა ხალხს შეუძლია საკუთარი მიზნებისათვის თავისუფლად განკარგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრე და რესურსები ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება რომე-

ლიმე ხალხს ჩამოერთვას საარსებო საშუალებები. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა, მათ შორის, რომელთაც ეკისრებათ არათვითმმართველი და სამეურვეო ტერიტორიების მართვის პასუხისმგებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულების შესაბამისად, ხელი უნდა შეუწყონ თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივი უნდა სცენ ამ უფლებას.“ (28) ზემოთ ხსენებული პაქტის 50-ე მუხლში ნათქვამია: „წინამდებარე პაქტის დებულებები ფედერაციული სახელმწიფოს ყველა ნაწილზე ვრცელდება რაიმე შეზღუდვისა ან გამონაკლისის გარეშე“ (28).

საერთაშორისო სამართლის თანახმად ერი, რომელიც იბრძვის დამოუკიდებელი სახემწიფოს შესაქმნელად, ამ ბრძოლის დაწყებისთანავე ხდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გაეროს მფარველობის ქვეშ იმყოფება. საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, ახალი სახელმწიფოების ფორმირება რეგულირდება ერების თვითგამორკვევის პრინციპის თანახმად, რაც ასევე დაფიქსირებულია ჩეჩნეთის კონსტიტუციაში. საერთაშორისო – სამართლებრივ დოკუმენტებში ნათლად არის ასახული, რომ ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება, რომლის რეალიზებით მათ შეუძლიათ თვითონვე განსაზღვრონ თავისი პოლიტიკური და იურიდიული სტატუსი.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანახმად დაუშვებელია ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს დამონება არა მარტო ძალით, არამედ ასევე „ნებაყოფილობით.“ ყოველი ერი, რომელიც ებრძვის კოლონიურ ჩაგვრას და იბრძივის თავი-

სუფლებისათვის, უფლებამოსილია მოიპოვოს დამოუკიდებლობა, ძალის გამოყენებითაც კი და მოსთხოვოს სხვა სახელმწიფოებს არ ჩაერიონ ამ ბრძოლაში მეტროპოლიის დასახმარებლად (29).

ჩეჩენი საზოგადო მოღვაწეები თვლიდნენ, რომ საერთაშორისო სამართალი ჩეჩენ ერს ანიჭებდა უფლებას თვითონ ემართა საკუთარი თავი და მოეპოვებინა დამოუკიდებლობა. კრემლისთვის კი ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა ყოვლად მიუღებელი იყო, ამიტომაც კრემლმა ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნები არალეგალურად გამოაცხადა. 1991 წლის 8 ნოემბერს ბორის ელცინმა გამოსცა ბრძანება რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. რუსეთის ხელისუფლებამ 2.000 რუსი ჯარისკაცი ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში გაგზავნა „წესრიგისა და კანონიერების“ აღსადგენად. ამის საპასუხოდ, ჯოხარ დუდაევმა საომარი მდგომარეობა გამოაცხადა და თავდაცვისთვის მზადებას აქტიურად შეუდგა. ათასობით ჩეჩენმა მამაკაცმა გროზნოში თავმოყრა დაიწყო, რათა ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაეცვა. რუსეთმა ჩეჩნეთის ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევა გადაწყვიტა, რამაც კატასტროფული შედეგები მოუტანა ქვეყანას და ჩეჩნეთის განვითარება მკვეთრად შეაფერხა.

80-იანი წლების დასასრულს, როდესაც უკვე ყველასათვის ნათელი იყო, რომ საბჭოთა წყობილებას მომავლის პერსპექტივა არ ჰქონდა, გორბაჩოვმა სცადა რეფორმების გატარება და დაიწყო ეკონომიკის ლიბერალიზაცია, რასაც შედეგად მოჰყვა ღია საზღვრები, თავისუფალი ვაჭრობა და ხალხსაც ეკონომი-

კური მოქმედების უფრო მეტი თავისუფლება მიეცა. შექმნილი სიტუაციით ისარგებლეს ორგანიზებულმა კრიმინალურმა დაჯგუფებებმა, რომლებსაც „ხელფეხი გაეხსნათ“. მათ შორის „ჩეჩნურ მაფიასაც“ მიეცა შესაძლებლობა, რომ არალეგალური საქმიანობით (იარაღის ვაჭრობით, ნარკობიზნესით, ფულის გათეთრებით) დიდძალი შემოსავლის წყაროები შეეძინა. ყალბი ფულის მოჭრაც ზრდიდა მაფიის შემოსავლებს. რუსეთის ოფიციალური მონაცემების თანახმად რუსეთის ეკონომიკა ამ არალეგალურმა საქმიანობებმა დაახლოებით 15-20 მილიარდი დოლარით დააზარალა. ფულის შოვნას მოწყურებული მრავალი რუსი სახელმწიფო მოხელე მაფიასთან იყო შეკრული და მათ არალეგალური საქმიანობების განხორციელებაში ეხმარებოდა. იმ პერიოდში მაფია მარტო ჩეჩნეთის პრობლემას არ წარმოადგენდა და რუსეთის ეკონომიკის 80 პროცენტს სინამდვილეში რუსული მაფია აკონტროლებდა. ჩეჩნების მიერ განხორციელებულმა არალეგალურმა ფინანსურმა ოპერაციებმა რუსეთის ფედერაცია 33 მილიარდი რუბლით დააზარალა, რის გამოც რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა 1992 წელს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ბანკებთან ანგარიშწორება დაიწყო. რუსეთმა ჩეჩნეთს სატრანსპორტო ბლოკადა გამოუცხადა, რასაც მოჰყვა საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტა და სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის მნიშვნელოვნად შეფერხება. ჩეჩნეთსა და რუსეთს შორის ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ ჩეჩნეთის ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო (6).

რუსეთის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა ბლოკადამ 1993 წლის დასაწყისისათვის

ჩეჩნეთის მოსახლეობის ისედაც აუტანელი ცხოვრების პირობები კიდევ უფრო გაუსაძლისი გახადა. ეკონომიკურმა ბლოკადამ და კრიზისმა მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია და ხელი შეუწყო პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის წინააღმდეგ ოპოზიციის წარმოშობას. ამ დროიდან მოყოლებული ჩეჩნეთის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი უკვე აკრიტიკებენ დუდაევს და მას ღიად უპირისპირდებიან. ოპოზიციის წარმოქმნამ პრეზიდენტ დუდაევის ძალაუფლება მნიშვნელოვნად შეასუსტა. რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო ოპოზიციის მხარდაჭერა და მას ფულითა და იარაღით ინტენსიურად ამარაგებდა. ოპოზიციას ევალებოდა პრეზიდენტ დუდაევის დამხობა. თუ ქვეყნის დესტაბილიზაციის გეგმა ჩაიშლებოდა და პრეზიდენტ დუდაევის დამხობა ვერ მოხერხდებოდა, მაშინ მოსკოვს სამხედრო ინტერვენციის გარდა სხვა ალტერნატივა აღარ დარჩებოდა. ოპოზიციამ ვერ მოახერხა დუდაევის ხელისუფლების დამხობა, ამიტომაც რუსეთს სხვა შესაძლებლობა აღარ დარჩა, გარდა იმისა რომ ოფიციალურად დაეწყო საომარი მოქმედებები ჩეჩნეთში (6).

1994 წლის დეკემბერში რუსეთის ხელმძღვანელობამ გაგზავნა ჯარი ჩეჩნეთში „სამართლიანობისა და კანონიერების“ აღსადგენად. ჩეჩნეთში სამხედრო ინტერვენციის დაწყებას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა: ჩეჩნეთის სეპარატისტული ხელისუფლება რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისათვის სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდა და მას შეეძლო საფრთხე შეექმნა რუსეთის ჰეგემონობისათვის არა მარტო კავკასიის რეგიონში, არამედ მთელ დსთ-ს სივრცეში.

იმისათვის რომ დსთ-ში თავისი გავლენა განემტკიცებია, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა ტრანსკავკასია და ცენტრალური აზია სამხედრო კონტროლს დაექვემდებარებია და შეექმნა სამხედრო ბაზების ფართო ქსელი მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში. დამოუკიდებელი ჩეჩნეთი კი ამ გეგმის განხორციელებას საფრთხეს შეუქმნიდა. რუსეთს გააჩნდა ასევე ეკონომიკური ინტერესები ჩეჩნეთში: ჩეჩნეთზე გადის ძალზე მნიშვნელოვანი სარკინიგზო მაგისტრალი და ნავთობსადენი, რომლის საშუალებითაც ხდება კასპიის ზღვიდან ნავთობის ტრანსპორტირება შავ ზღვაზე. ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა ყოვლად მიუღებელია რუსეთისათვის არა მარტო ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ ასევე პოლიტიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან მას შეუძლია გამოიწვიოს „დომინოს ეფექტი“ და საფრთხე შეუქმნას რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას. მოსკოვში ფრთხილობენ, რომ ქვეყანაში არ გაჩნდეს სეპარატისტული მოძრაობების ახალი კერები და ამიტომაც არ უნდათ რომ შექმნან საშიში პრეცედენტი. ჯერ კიდევ პირველი ჩეჩნური ომის დროს რუსეთის პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა რამოდენიმეჯერ, საჯაროდ გამოსვლისას თქვა, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით არც ერთ ქვეყანას არ ჰქონდა უფლება გასულიყო რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა განაცხადა, რომ ფედერაციიდან გასვლის მცდელობა განიხილებოდა, როგორც რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა (4).

1994 წლის 11 დეკემბერს დაიწყო რუსეთის არმი-

ის სამხედრო ინტერვენცია ჩეჩნეთში. დაახლოებით 40.000 კაციანი არმია ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და დაღესტანის მხრიდან ჩეჩნეთში შეიჭრა, რათა გროზნო ალყაში მოექციათ. ამ მომენტიდან იწყება რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომი. რუსები ჩეჩნების მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ, როგორც ჩეჩნეთში, ასევე ინგუშეთში. ჩეჩნები გააფთრებით იბრძოდნენ და იმისათვის რომ დუდაევის წინააღმდეგობა ჩაეხშოთ, რუსებმა დაიწყეს გროზნოს მასირებული დაბომბვა, ასევე საზღვრების ჩაკეტვა და ქვეყნის იზოლაციაში მოქცევა. (27) რამდენიმეკვირიანი ბრძოლების შემდეგ, 1995 წლის თებერვალში რუსეთის ჯარებმა ჩეჩნეთის დედაქალაქი აიღეს. გროზნოში ხელჩართული ბრძოლების შემდეგ, პრაქტიკულად ყველაფერი დაინგრა და გროზნოს თითქმის ყველა მაცხოვრებელმა ქალაქი დატოვა, რაც ნიშნავს იმას, რომ 1995 წლის იანვრის ბოლოს დაახლოებით 400.000 ადამიანი ლტოლვილად იქცა.

1995 წლის ივლისში ჩეჩენი მეთაური შამილ ბასაევი 100 მეომრით სამხრეთ რუსეთის ქალაქ ბუდიონოვსკში შეიჭრა, სადაც მან 1.000 ადამიანი ტყვედ აიყვანა. ბასაევმა დაბომბვების შეწყვეტა და რუსული არმიის ჩეჩნეთიდან სასწრაფოდ გაყვანა მოითხოვა. მას შემდეგ რაც რუსმა ჯარისკაცებმა სააავადმყოფოს შტურმით აღება ვერ შესძლეს, ვიქტორ ჩერნომირდინი იწყებს მოლაპარაკებებს შამილ ბასაევთან და აღწევს მასთან შეთანხმებას ტყვეების განთავისუფლებისა და ზავის თაობაზე. მაგრამ რუსეთმა ზავი დაარღვია და საომარი მოქმედებები ჩეჩნეთში გააგრძელა.

1996 წლის 22 აპრილს სოფელ გეხი-ჩუს სიახლოვეს

ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი ვერაგულად იქნა მოკლული რუსების მიერ. ის მობილურით საუბრობდა, როდესაც რაკეტა დაეცა, რის გამოც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მკვლელობა წინასწარ იყო დაგეგმილი რუსეთის სპეცსამსახურების მიერ.

1996 წლის 6 აგვისტოს ჩეჩენმა მებრძოლებმა მოულოდნელი შეტევა წამოიწყეს გროზნოზე, არგუნზე და გუდერმესზე. გროზნოდან დახლოებით 12.000 რუსი ჯარისკაცი გააძევეს და მოახერხეს ქალაქზე კონტროლის დამყარება. ამასთანავე ჩეჩნეთის დაბლობის ნაწილი დაიპყრეს და ქვეყნის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე კონტროლი აღადგინეს. რუსეთისათვის სამხედრო დანაკარგები იმდენად დიდი იყო, რომ ბორის ელცინი იძულებული შეიქმნა მოლაპარაკებები დაეწყო და ჩეჩნეთის პოლიტიკის კოორდინატორად 1996 წლის 10 აგვისტოს ალექსანდრე ლებედი დანიშნა. ორწლიანი ომი, რომლის დროსაც დაახლოებით 80.000 ადამიანი დაიღუპა, ხასავიურთის ცნობილი ხელშეკრულებით დამთავრდა. ალექსანდრე ლებედმა, პრეზიდენტ ბორის ელცინის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში და ჩეჩენი მეამბოხეების სამხედრო მეთაურმა, ასლან მასხადოვმა 1996 წლის 26 აგვისტოს ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას დაღესტნის ქალაქ ხასავიურთში. ეს ხელშეკრულება რუსეთს ავალდებულებდა, რომ სრული შემადგენლობით გაეყვანა თავისი სამხედრო ნაწილები ჩეჩნეთიდან. რუსეთისთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემა – ჩეჩნეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსი, ხელშეკრულების თანახმად 2001 წლამდე გადაიდო (3).

მასხადოვი და ლებედი ხასავიურთის ხელშეკრულების დადების დროს.

1997 წლის 12 მაისს მასხადოვმა და ბორის ელცინმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას რუსეთის ფედერაციასა და ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის მშვიდობასა და კეთილმეზობლური ურთიერთობის თაობაზე.

1997 წელს ასლან მასხადოვი ჩეჩენმა ხალხმა პრეზიდენტად აირჩია. 1997 წლის 12 მაისს ბორის ელცინმა და ასლან მასხადოვმა კრემლში საბოლოო ზავს მოაწერეს ხელი, რომლის თანახმადაც მხარეები უარს ამბობდნენ ძალის გამოყენებაზე და ვალდებულებას კისრულობდნენ ყველა საკითხი ორმხრივ ურთიერთობებში გადაეწყვიტათ საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად. მასხადოვი თვლიდა, რომ დროთა განმავლობაში რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის ურთიერთობები დალაგდებოდა, მაგრამ მშვიდობიანი ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის ხელისუფლება ხასავიურთის სამარცხვინო ზავის პირობებს ვერ შეურიგდებოდა და საომარი მოქმედებებისათვის დაიწყებდა მზადებას (9). რუსეთის ხელისუფლება წლების განმავლობაში ემზადებოდა ახალი საომარი მოქმედებების დასაწყებად ჩეჩნეთში.

ასლან მასხადოვს ძალზე რთულ პერიოდში მოუხდა ხელისუფლების სათავეში ყოფნა. 1996 წლის ბოლოს ნახევარ მილიონზე მეტი ჩეჩენი უსახლკაროდ იყო დარჩენილი და ლტოლვილთა ბანაკებში უწევდათ ცხოვრება. დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენა უსახსრობის გამო ვერ ხერხდებოდა. მთელ ქვეყანაში ეპიდემიები და შიმშილი მძვინვარებდა. ათიდან ცხრა ოჯახს სურსათ-სანოვაგის მარაგი არ გააჩნდა და თავის გამოკვება არ შეეძლო. მოსახლეობის დაახლოებით 90 პროცენტი უმუშევარი იყო. ხალხი ემიგრაციაში მიდიოდა და ქვეყანა მოსახლეობისგან იცლებოდა. ომმა ჩეჩნეთის მოსახლეობის 10 პროცენტი იმსხევრპლა. ომის შედეგად განადგურდა ქვეყ-

ნის ინფრასტრუქტურა: სავადმყოფოები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობები და სკოლები, მუზეუმები და ბიბლიოთეკები, ეროვნული არქივები, დაზიანდა ყველა კომუნიკაციები. მარტო გროზნოში მთლიანად დაინგრა სასკოლო შენობების 80 პროცენტი. მთლიანად განადგურდა 11 დასახლება, ხოლო ნაწილობრივ – 300. ქალაქი გროზნო ნანგრევებად იქცა (მოგვიანებით მას ჯოხარყალა ეწოდა ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის პატივსაცემად), ქალაქი გუდერმესი და შალი ძალიან დაზარალდა ხშირი დაბომბვების და საარტილერიო ცეცხლის შედეგად. საგრძნობლად იმატა ინვალიდების და დასახიჩრებულების რაოდენობამ. ომის შედეგად დაინვალიდდა 74 ათასი ადამიანი, მათ შორის 19 ათასი ბავშვი. ორი ათასი კაცი დაბრმავდა, ხოლო 1500 დაყრუვდა. 12 ათასი ბავშვი დაობლდა. 1582 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. (17)

მთელ ქვეყანაში ეკოლოგიური კატასტროფა მძვინვარებდა. ჰაერის დაბინძურება ნორმას ასჯერ აჭარბებდა. ბავშვების სიკვდილიანობა ახალშობილების 50 პროცენტს შეადგენდა. ომის შემდეგ საგრძნობლად იმატა საშიში სნეულებების რიცხვმა, განსაკუთრებით ტუბერკულოზმა და ონკოლოგიურმა დაავადებებმა. ჩეჩნეთის ეკონომიკა განადგურდა, ჩეჩენ საველე მეთაურებს კი არ სურდათ შეიარაღებული ფორმირებების დათხოვნა და ხელისუფლებისადმი მორჩილების გამოცხადება. მასხადოვის ძალაუფლება თანდათანობით დასუსტდა, ვინაიდან მან დაკარგა კონტროლი ბასაევზე და სხვა ჩეჩენ საველე მეთაურებზე. მან ასევე ვერ შესძლო ჩეჩნეთის დანგრეული ეკონომი-

კის აღდგენა და ქვეყნის ფეხზე დაყენება. მასხადოვს ძალზე ბევრი მოწინააღმდეგე და მეტოქე გამოუჩნდა. ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტი, არსანოვიც კი მის მტრად იქცა. ქვეყანაში კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული მძვინვარებდა. ყველგან გახშირებული იყო ადამიანის გატაცებები, ყაჩაღობა, მოსახლეობის ძარცვა და სხვა უკანონო ქმედებები. ხელისუფლება კი შიდა დაპირისპირების გამო იმდენად იყო დასუსტებული, რომ ამ დანაშაულების აღკვეთა არ შეეძლო. (4) ასევე უშედეგო იყო ასლან მასხადოვის მცდელობა აღეკვეთა ვაჰაბიზმის და ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელება რესპუბლიკაში. ვაჰაბიზმს და ისლამურ ფუნდამენტალიზმს მხარს შამილ ბასაევი უჭერდა. მისი მიზანი იყო ისლამური სახელმწიფოს შექმნა ჩეჩნეთში.

ვაჰაბიზმის გავრცელებამ ჩეჩნეთში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ორ ბანაკად გაყოფა გამოიწვია: ერთ მხარეზე იყვნენ ისლამური ფუნდამენტალისტები, ხოლო მეორეზე ჩეჩენი ნაციონალისტები. ასლან მასხადოვი იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო და 1999 წლის თებერვალში რადიკალი ისლამისტების მოთხოვნის საფუძველზე შემოიღო შარიათის კანონები ქვეყანაში. ამ პერიოდიდან მოყოლებული შარიათის კანონების მიხედვით ხდებოდა ხალხის გასამართლება ჩეჩნეთში და მათთვის სიკვდილის მისჯა სხვადასხვა დანაშაულებების გამო.

რუსეთის სპეცსამსახურებმა 1998-1999 წლებში რამოდენიმეჯერ სცადეს მასხადოვის მოკვლა, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. დუდაევის ლიკვიდაციის შემდეგ, რუსებს რატომღაც ეგონათ,

რომ ასლან მასხადოვი უფრო დამთმობი იქნებოდა, მაგრამ მასხადოვიც ისეთივე პრინციპული აღმოჩნდა, როგორც დუდაევი და მან მცირედითაც არ გადაუხვია დამოუკიდებლობის კურსს. მისი წინამორბედის მსგავსად, მასხადოვის მიზანი სრული თავისუფლება და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა იყო. მასხადოვის ყველაზე დიდი შეცდომა ალბათ ის იყო, რომ ვერ მოახერხა შამილ ბასაევის და სხვა ჩეჩენი ფუნდამენტალისტების დამორჩილება, ვერ შესძლო ჩეჩენი საზოგადოების ერთ ბანაკში გაერთიანება და ვერც ვაჰაბიზმის აღმოფხვრა ჩეჩნეთში.

ასლან მასხადოვი და შამილ ბასაევი .

ასლან მასხადოვი და ჯოხარ დუდაევი.

ჯოხარ დუდაევის გაპრეზიდენტების მეხუთე წლისთავის აღნიშვნა.



იჩქერიის ეროვნული გმირი, ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტი – ჯოხარ დუდაევი.

პრეზიდენტი დუდაევი ოჯახთან ერთად.

მეოთხე კლასის მოსწავლე ჯოხარ დუდაევი, ყაზახეთი.

ინგუშებისა და ჩეჩნების დელეგაცია საქართველოს პარლამენტში.

ორი თავისუფლებისათვის მებრძოლი პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი.

ჯოხარ დუდაევი ზვიად გამსახურდიას დაკრძალვაზე. ჩეჩნებმა დიდი პატივით დაკრძალეს საქართველოს პრეზიდენტი გროზნოში.

ჩეჩნეთი დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობს. 1994 წელი.

რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დასაწყისი. მარცხნიდან მარჯვნივ: ვიცე- პრეზი-დენტი ზემილხან იანდარბიევი, პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი და ჩეჩნეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი ასლან მასხადოვი. 1994 წელი.

ჯოხარ დუდაევის მხარდამჭერები პრეზიდენტის სასახლის წინ ლოცულობენ.

რუსეთის არმია ჩეჩნეთის დასაპყრობად დაიძრა.

ომისაგან დანგრეული გროზნო.

ომისაგან დანგრეული პრეზიდენტის სასახლე.

ქალაქ გროზნოში გააფთრებული ბრძოლები გაიმართა ჩეჩენ მეომრებსა და რუს ჯარისკაცებს შორის.

პრეზიდენტ დუდაევის მანქანის ნაწილები აფეთქების შემდეგ.
ჯოხარ დუდაევზე ნადირობა დიდი ხანი მიმდინარეობდა.

ვარშავა. კედელზე პოლონურად სწერია: სანამ ჩვენ გვახსოვს, ის ცოცხლობს!

ასლან მასხადოვი საქართველოში ვიზიტის დროს. 31 აგვისტო 1997 წელი.

ასლან მასხადოვი აშშ-ში. 7 აგვისტო 1998.

ჩეჩნეთის მეორე ომი

კრემლი დიდი ხანი ემზადებოდა ჩეჩნეთის დასალაშქრავად და ფართომასშტაბიანი ომის დასაწყებად ამზადებდა ნიადაგს. ჩეჩნეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი უფროსის, ნუხაევის აზრით რუსეთის ხელისუფლებამ მზადება ომისათვის ხასავიურთის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისთანავე, 1996 წელს დაიწყო. 1996 წლის დეკემბერში, ჩეჩნეთში საპრეზიდენტო არჩევნების დროს სიცოცხლეს გამოასალმეს ექვსი ქალბატონი – წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომელი, რასაც დანაშაულთა მთელი სერია მოჰყვა. ჩეჩნეთში ნებისმიერი პიროვნების სიცოცხლეს, ვინც გაბედავდა მასხადოვის რეჟიმთან თანამშრომლობას, საფრთხე ემუქრებოდა. რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი ხდებოდბენ ჟურნალისტები, საქველმოქმედო ორგანიზაციების თანამშრომლები და უცხოური კომპანიების წარმომადგენლები, რომელთაც ჩეჩნეთის ხელისუფლებასთან საქმიანი კავშირები ჰქონდათ. კრემლმა ჩეჩნეთის რესპუბლიკის სრული იზოლაციით თავის მიზანს მიაღწია და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მივიწყებულ ქვეყანაში ქაოტური სიტუაცია შექმნა (17).

ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყება არც ასლან მასხადოვის და არც ჩეჩენი ერის ინტერესებში არ შედიოდა. როდესაც 1999 წლის აგვისტოში, დაახლოებით 400 ჩეჩენი და არაბი ტერორისტი შამილ ბასაევის და ხატაბის მეთაურობით დაღესტანში შეიჭრა, მასხადოვმა რადიკალი ისლამისტების ეს უგუნური ქმედება დაგმო და ისინი ჩეჩენი ხალხის მოღალატეებად გამოაცხადა.

შამილ ბასაევის მიზანი კავკასიის ისლამური რესპუბ-ლიკის შექმნა იყო, რომელსაც მთელი ჩრდილოეთ კავ-კასია უნდა მოეცვა. ბასაევის შეჭრა დაღესტანში რუ-სეთის ხელისუფლებამ საბაბად გამოიყენა ახალი ომის დასაწყებად ჩეჩენი ერის წინააღმდეგ. ჩეჩენთის მეორე ომის დაწყების მიზეზად სხვადასხვა ფაქტორები სა-ხელდება: 1. ბევრი რუსი ანალიტიკოსი თვლის, რომ ჩეჩნეთის მეორე ომი დაიწყო იმისათვის, რომ ვლადი-მერ პუტინს წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოეპოვე-ბინა რუსეთის მოსახლეობის მხარდაჭერა. ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების დაწყება პუტინმა გამოიყენა, როგორც წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდა. მარ-თლაც ომის დროს ვლადიმერ პუტინის რეპუტაცია გაიზარდა და მისი რეიტინიგი საგრძნობლად ამაღლდა. ჩეჩენი მეამბოხეების დაღესტანში შეჭრით დაიწყო ყველასათვის უცნობი რუსეთის საიდუმლო სამსახუ-რის უფროსის, ვლადიმერ პუტინის სწრაფი პოლიტი-კური აღმასვლა. პუტინის პროპაგანდამ და ბრძოლამ „ჩეჩენი ბანდიტების“ წინააღმდეგ, მას დიდი პოპუ-ლარობა მოუპოვა. რუსი ექსპერტების ნაწილი თვლის რომ შამილ ბასაევი გრუ-ს აგენტი იყო და ის გრუ-ს ინსტრუქციებით მოქმედებდა. მართლაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ჩეჩენი ტეტორისტების უკან რუსეთის სპეცსამსახურები იდგნენ და დაღეს-ტანში შეჭრით ისინი რუსეთის ხელისუფლების დავა-ლებას ასრულებდნენ. დაღესტანში შეჭრასთან ერთად იმ პერიოდში განხორციელდა ტერორისტული აქტები რუსეთში და საცხოვრებელი კორპუსების აფეთქებები ბუინაკსკში, მოსკოვსა და ვოლგოდონსკში, რაც შემ-დეგ რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩენი ტერორისტების

ჩადენილ ქმედებად გამოაცხადა და საბაბად გამოიყენა ჩეჩნეთში ანტიტერორისტული ოპერაციების დასაწყებად (33). ცნობილი რუსი დისიდენტის ალექსანდრე ლიტვინენკოს დაწერილი წიგნიდან „ეფ-ეს-ბე აფეთქებს რუსეთს“ ირკვევა, რომ ზემოთ ხსენებული საცხოვრებელი კორპუსები ჩეჩნებს არ აუფეთქებიათ. მათი აფეთქება რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იყო ორგანიზებული. ეფ-ეს-ბე-ს მიერ მოწყობილი პროვოკაცია იყო ასევე რადიკალი ისლამისტების დაღესტანში შეჭრა. ლიტვინენკოს აზრით რუსეთის ხელისუფლებას საცხოვრებელი კორპუსების აფეთქება და დაღესტანში დაგეგმილი პროვოკაცია იმისათვის დასჭირდა, რომ შეეცვალათ საზოგადოებრივი აზრი და გაეძლერებინათ ანტი-ჩეჩნური განწყობა რუსეთში (19). 2. მეორე მიზეზად ხშირად სახელდება რუსეთის ხელისუფლების სურვილი გაეუქმებინა ხასავიურთის სამარცხვინო ზავის პირობები, აღედგინა რუსეთის არმიის შელახული პრესტიჟი და დაეცვა რუსეთის ტეტიროტიული მთლიანობა. 3. მესამე მიზეზი კი ენერგორესურსების ტრანსპორტირებას ეხება. ჩეჩნეთს როგორც სატრანზიტო ქვეყანას, ძალზე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის, ვინაიდან კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება რუსეთში შეუძლებელი იქნებოდა ჩეჩნეთზე კონტროლის დამყარების გარეშე. რუსეთის ხელისუფლებას ასევე სურდა, რომ არ დაეშვა ალტერნატიული ენერგოდერეფნის ფორმირება სამხრეთ კავკასიის გავლით, რასაც შეეძლო წერტილი დაესვა რუსეთის ჰეგემონობისათვის კავკასიაში.

1999 წლის ოქტომბერში ვლადიმერ პუტინმა ასლან

მასხადოვის ხელისუფლება არალეგიტიმურად გამოაცხადა, რუსეთის შეიარაღებული ძალები ჩეჩნეთში გაგზავნა და რუს ხალხს სწრაფ გამარჯვებას დაჰპირდა ჩეჩნეთის ომში, რამაც მას საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატება მოუტანა. 1999 წლის 11 ოქტომბერს ასლან მასხადოვმა სამშვიდობო გეგმა შეადგინა და რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შეხვედრა შესთავაზა, რაზედაც ცივი უარი მიიღო. როდესაც დაინახა, რომ მოლაპარაკებები არანაირ შედეგს არ გამოიღებდა, მასხადოვმა საღვთო ომი – ღაზავათი გამოუცხადა რუსებს და თავდაცვისთვის მზადებას შეუდგა. ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა და ყველა რეზერვისტი გამოძახებულ იქნა სამშობლოს დასაცავად.

რუსეთმა საჰაერო თავდასხმების განხორციელება დაიწყო ჩეჩნეთის დასახლებულ პუნქტებზე. ბალისტიკური რაკეტებით ხდებოდა გროზნოს და სხვა ქალაქების დაბომბვა. საჰაერო თავდასხმებმა აიძულა დაახლოებით 100.000 ადამიანი სახლ-კარი მიეტოვებინა და ინგუშეთის რესპუბლიკისათვის შეეაფარებია თავი. ინგუშეთმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დახმარებისათვის მიმართა, რათა ათობით ათასი ლტოლვილისთვის ღირსეული დახმარება გაეწია. ყოველ დღე ინგუშეთში 5.000-6.000 ჩეჩენი ლტოლვილი ჩადიოდა.

ჩეჩნეთის მეორე ომის დროს ქვეყნის დედაქალაქი მიწასთან იქნა გასწორებული რუსების მიერ. რუსებმა გროზნო ალყაში მოაქციეს 1999-2000 წლებში და ჩეჩნეთის დედაქალაქში „ქვა ქვაზე არ დასტოვეს“. გროზნო „აღიგავა პირისაგან მიწისა,“ რის გამოც

2003 წელს გააერთიანებული ერების ორგანიზაციამ ის მსოფლიოს ყველაზე დანგრეულ ქალაქად აღიარა. რუსები თვლიდნენ რომ გროზნოში რამოდენიმე დღეში შეწყდებოდა წინააღმდეგობა და ქალაქი მათ ხელში გადავიდოდა, მაგრამ მალე იმედები გაუცრუვდათ. გროზნო მათთვის აუღებელ ციხესიმაგრედ გადაიქცა. დიდი მსხვერპლისა და დანაკარგების შემდეგ, რუსეთის არმიის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა გეგმები შეეცვალა. მათ ლაპარაკი დაიწყეს ქალაქის გარშემო „რკინის რგოლის“ ფორმირების შესახებ, საიდანაც ვერც ერთი „ტერორისტი“ ვერ დააღწევდა თავს. მიუხედავად დიდი მცდელობისა, რომ სრულ იზოლაციაში მოექციათ ქალაქის დამცველები, ორთვიანმა ალყამ მაინც ვერ გაამართლა. ჩეჩნეთის ქვედანაყოფმა ადვილად გაარღვია „რკინის რგოლი“, ორგანიზებულად დატოვა ქალაქი, კრემლის სცენარისტებს კი გეგმები ჩაუშალა.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა გადაინაცვლეს სამხრეთით, სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ზონაში, რათა მაქსიმალურად გამოეყენებინათ მათი უპირატესობა მაღალმთიან რეგიონებში რუსეთის კბილებამდე შეიარაღებული არმიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ისინი თვლიდნენ, რომ ქალაქი დროებით დატოვეს და მალე ისევ გროზნოს დაუბრუნდებოდნენ, როგორც ეს მოხდა 1996 წლის აგვისტოს.

გროზნოს დაცემის შემდეგ რუსეთმა კონტროლი აღადგინა სეპარატისტულ ანკლავზე, მაგრამ ჩეჩნეთში საომარი მოქმედებები მაინც არ შეწყვეტილა. ასლან მასხადოვმა და ჩეჩენმა საველე მეთაუ-

რებმა ჩეჩნეთის სამხრეთ ნაწილში, კავკასიის მთებში გააგრძელეს პარტიზანული ბრძოლები რუსების წინააღმდეგ. აჯანყებულებმა პატარ-პატარა საბრძოლო დანაყოფების შექმნა დაიწყეს. თითოეული დანაყოფის შემადგენლობაში სულ ათიდან ორმოცდაათამდე მეომარი შედიოდა. ამ საბრძოლო დანაყოფებმა რუსეთის არმიაზე მოულოდნელი თავდასხმების ორგანიზება დაიწყეს, რომელთა განხორციელების დროსაც ხშირად მშვიდობიანი ჩეჩენი მოსახლეობაც იღუპებოდა.

2000 წლიდან საღვთო ომში აქტიურად ებმებიან ქალი ტერორისტი-მკვლელები, რომლებიც თავიანთ თავს „შავ ქვრივებს“ უწოდებენ. ამ ტერორისტ ქალებს ძირითადად რუსებზე შურისძიების სურვილი ამოძრავებდათ. მათ რუსეთ-ჩეჩნეთის ომში შვილები, ქმრები, მამები, საკუთარი ოჯახის წევრები დაკარგეს და ამიტომაც რუსებზე შურისძიება სწყუროდათ. ჩეჩნურ საზოგადოებაში ფართოდ არის გავრცელებული სისხლის აღების წესი. ამ წესის თანახმად მოკლულის ნათესავი ვალდებულია შური იძიოს მკვლელზე, მოკლას იგი და ამასთანავე სიხოცხლეს გამოასალმოს მისი გვარის რომელიმე წარმომადგენელი. ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული „სისხლის აღების“ წესი ჩეჩენ ქალებს აიძულებდა, რომ საომარ მოქმედებებში ჩაბმულიყვნენ და ოჯახის წევრის დაკარგვის გამო სამაგიერო გადაეხადათ რუსებისათვის. ბოლო ომის დროს ასეთი ქალების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და მათ მონაწილეობა მიიღეს რუსების წინააღმდეგ განხორციელებულ არაერთ ტორირისტულ აქტში. (10)

2001 წელს რუსეთმა დაიწყო ეგრეთწოდებული „ანტი-ტერორისტული ოპერაცია,“ რომლის მიზანი

ჩეჩენი მეამბოხეების განადგურება იყო. ამ ოპერაციის განხორციელების დროს რუსებმა შესძლეს აჯანყებულთა ისეთი ცნობილი ლიდერების და საველე მეთაურების განადგურება, როგორებიც იყვნენ იბნ ალ- ხატაბი, აბუ ალ-ვალიდი, სალმან რადუევი, რუსლან გელაევი და ასლან მასხადოვი. ყველაზე საშიში ტერორისტის, შამილ ბასაევის განადგურება რუსებმა დიდი ხნის მანძილზე ვერ შესძლეს და მხოლოდ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ სპეციალურად დაგეგმილი ოპერაციის განხორციელების შემდეგ, 2006 წლის 10 ივლისს მოახერხეს მისი ლიკვიდაცია.

რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ხშირად ბრალს სდებდა ჩეჩენი ტერორისტების მფარველობაში, რომლებიც მათი აზრით პანკისის ხეობაში იყვნენ გამაგრებული და იქიდან აწარმოებდნენ პარტიზანულ ომებს რუსეთის წინააღმდეგ. ჩეჩნეთის ომმა საქართველოც მნიშვნელოვნად დააზარალა, ვინაიდან „ტერორისტების“ განადგურების მიზნით რუსმა სამხედროებმა არაერთხელ დაბომბეს საქართველოს საზღვრისპირა სოფლები.

2000 წლის მაისში ვლადიმერ პუტინმა ჩეჩნეთში პირდაპირი რუსული მართველობა დაამყარა. გროზნოში შეიქმნა პრორუსული ორიენტაციის ხელისუფლება, რომელსაც სათავეში აჰმედ კადიროვი ჩაუდგა. კადიროვი ჩეჩნური ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო და ის აქტიურად ებრძოდა რუსებს ჩეჩნეთის პირველი ომის დროს, მაგრამ მეორე ომის დროს მან რუსეთის მხარეზე გადასვლა გადაწყვიტა. ფიქრობენ რომ ეს ნაბიჯი კადიროვს ჩეჩნეთში შექმნილმა

სავალალო მდგომარეობამ გადაადგმევინა და ჩეჩენი ხალხის სრული განადგურებისგან გადარჩენის სურვილმა (9).

ვლადიმერ პუტინის ინიციატივით, 2003 წლის 5 ოქტომბერს ჩეჩნეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნებმა პუტინისთვის სასურველი შედეგები აჩვენა. მან მოახერხა რომ ეს არჩევნები მისი ფავორიტის, აჰმედ კადიროვის გამარჯვებით დასრულებულიყო. ეუთომ, ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა და დასავლეთის პოლიტიკოსებმა ჩეჩნეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები არალეგიტიმურად გამოაცხადეს.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ კადიროვის მოკვლა ჩეჩნებმა არეართხელ სცადეს და მისი ლიკვიდაცია მალე მოახერხეს. 2004 წლის 9 მაისს, როდესაც გროზნოში დინამოს საფეხბურთო სტადიონზე ფაშიზმზე გამარჯვებას ზეიმობდნენ, უეცრად ბომბი აფეთქდა და კადიროვი სოცოცხლეს გამოასალმა. აჰმედ კადიროვის სიკვდილის შემდეგ რუსებმა ჩეჩნეთის პრეზიდენტად ალუ ალხანოვი დანიშნეს. ის პრეზიდენტის თანამდებობაზე 2007 წლამდე დარჩა. ალხანოვი აჰმედ კადიროვის შვილმა რამზან კადიროვმა შეცვალა, რომელიც ჯერ ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრი გახდა, ხოლო შემდეგ პრეზიდენტად დაინიშნა. რამზან კადიროვმა შესძლო წესრიგის დამყარება ჩეჩნეთში, მაგრამ ყველაფერ ამას მან მიაღწია ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით, ადამიანების წამებით, მკვლელობებით, გატაცებებით...(25)

კრემლმა კადიროვის რეჟიმს ფართო ავტონომია და საშინაო საქმეების დამოუკიდებლად წარმართვის

უფლება მიანიჭა. რუსეთის ხელისუფლებამ მას ნება დართო, რომ ისლამური წესების მიხედვით მართოს ჩეჩნეთი. (მაგ. კადიროვს უფლება აქვს აკრძალოს ალკოჰოლის რეალიზაცია და მოხმარება ჩეჩნეთში.) ადამიანის უფლებათა აქტივისტები აცხადებენ, რომ ჩეჩნეთში ქალთა უფლებები საგრნობლად გაუარესდა ისლამური წესების შემოღების შემდეგ. მათ აიძულებენ რომ ისლამური ტრადიციები დაიცვან და ისლამური წესების თანახმად შეიმოსონ. ქალებს უფლება არა აქვთ თავსაბურავის გარეშე იმუშაონ სამთავრობო უწყებებში. მათ ასევე ეკრძალებათ თავსაფრის გარეშე სკოლაში ან უნივერსიტეტში სწავლა. (24)

კადიროვის რეჟიმის დამყარების შემდეგ კრემლმა თავისი სტრატეგია ჩეჩნეთის მიმართ შეცვალა. რუსეთის ხელისუფლება უკვე ძალით კი არ ცდილობს ჩეჩნეთზე კონტროლის დამყარებას, არამედ ფულის მეშვეობით ახერხებს ჩეჩნების გულის მოგებას. მოსკოვმა დაიწყო გროზნოს რეკონსტრუქცია და ერთ დროს მიწასთან გასწორებული და მთლიანად დანგრეული ჩეჩნეთის დედაქალაქი, კავკასიის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქალაქად აქცია. მიუხედავად ამისა გროზნოში სტაბილურობა და მშვიდობა მაინც მოჩვენებითია. ის კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ქალაქად ჩრდილოეთ კავკასიაში. ავტომატებით აღჭურვილ და კბილებამდე შეიარაღებულ პოლიციელებს უწევთ ძალზე დაძაბულ რეჟიმში მუშაობა. (24)

გროზნო-სითი

მრავალსართულიანი შენობები გროზნო – სითი-ში.

რამზან კადიროვი და მისი პირსისხლიანი რეჟიმი, რომელიც უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს, არაერთ სერიოზულ დანაშაულში ამხილა რუსმა ჟურნალისტმა ანა პოლიტკოვსკაიამ, რომელიც 2006 წლის 7 ოქტომბერს ვერაგულად მოკლეს ქალაქ მოსკოვში.

რუსეთის ხელისუფლება უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს ჩეჩნეთში. მსოფლიო საზოგადოება თავისი დუმულით რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს აძლევს შანსს ჩაიდინონ კიდევ უფრო მეტი მძიმე დანაშაული ჩეჩნეთში: დახოცონ ან უკანონოდ დააკავონ მშვიდობიანი მოსახლეობა, გაანადგურონ ქვეყნის ინფრასტრუქტურა, მუდმივი ზეწოლა მოახდინონ ადამიანის უფლებების აქტივისტებზე, რომლებიც თვალს ადევნებენ ჩეჩნეთში განვითარებულ მოვლენებს. სწორედ საერთაშორისო თანამეგობრობის დუმილის გამო რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს გაუჩნდათ ისეთი განცდა, რომ ისინი საკუთარი ქმედებების გამო პასუხს არ აგებენ არავის წინაშე და რომ მათ შეუძლიათ ისე იმოქმედონ, როგოც თავად სურთ (34).

რუსები ანა პოლიტკოვსკაიას ხსოვნას პატივს მიაგებენ.

სიმპათიები, რომლებიც საერთაშორისო თანამეგობრობას გააჩნდა ჩეჩნეთის პირველი ომის დროს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ჩეჩენი მეომრების მიმართ, თანდათანობით გაქრა 1999 წლის შემდეგ. მას შემდეგ რაც დაიწყო ჩეჩნეთის მეორე ომი საერთაშორისო თანამეგობრობა სიძულვილით განიმსჭვალა ჩეჩენი მებრძოლების მიმართ, რომლებიც თავიანთი მიზნების მისაღწევად ყველაფერზე წამსვლელები იყვენ და ტერორისტულ აქტებს ხშირად აწყობდნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. ომმა აჯანყებულ ჩეჩენთა რადიკალიზაცია გამოიწვია. საერთაშორისო თანამეგობრობამაც არ დააყოვნა და ჩეჩენი ერის ლიდერები და საველე მეთაურები, საშიში ტერორისტების სიაში შეიყვანა. ამ გადაწყვეტილებამ რუსეთის ხელისუფლებას ჩეჩნეთში ხელ-ფეხი გაუხსნა. რუსეთმა „ტერორიზმის წინააღმდეგ“ ბრძოლის საბაბით დაიწყო როგორც ჩეჩენი ბოევიკების, ასევე საეჭვო პირებისა და მშვიდობიანი ჩეჩენი მოსახლეობის განადგურება.

რუსეთის ხელისუფლებამ 2002 წელს ჩეჩნეთში ომი დასრულებულად გამოაცხადა, მაგრამ ეს უფრო რუსეთის მოსახლეობისათვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობა იყო, ვიდრე რეალობა. სინამდვილეში საომარი ოპერაციები 2002 წელს არ შეწყვეტილა და ჩეჩნეთის სამხრეთ ნაწილში პარტიზანული ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა. პარტიზანული ტაქტიკის გარდა ჩეჩენი აჯანყებულები ხშირად მიმართავდნენ და მიამრთავენ ტერორიზმს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამის მაგალითია რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში 2002 წლის 23-26 ოქტომ-

ბერს ორგანიზებული დუბროვკის ტერორისტული აქტი, რომლის დროსაც დაიღუპა 130 ადამიანი, ან კიდევ ჩრდილოეთ ოსეთში 2004 წლის 1 სექტემებრს განხორციელებული ბესლანის ტერორისტული აქტი, რომლის დროსაც 350 მძევალი დაიღუპა. 2000 წლის ივნისიდან 2004 წლის სექტემბრამდე ჩეჩნებმა სულ 23 ტერორისტული აქტი განახორციელეს როგორც ჩეჩნეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ჩეჩენ მეამბოხეთა ამჟამინდელი სტრატეგია გულისხმობს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ტერორისტული აქტების განხორციელებას.

2009 წლის 16 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ჩეჩნეთს „ანტიტერორისტული ოპერაციების ზონის“ სტატუსი მოუხსნა და 20.000 რუსი ჯარისკაცი რესპუბლიკიდან გაიყვანა. როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, ამ სტატუსის მოხსნა ნაადრევად მოხდა, ვინაიდან ტერორისტული აქტები არ წყდება ჩეჩნეთში და პერიოდულად კვლავ მეორდება. 2009 წლის ზაფხულში ძალადობამ ჩეჩნეთში პიკს მიაღწია. ტერაქტები და მკვლელობები თითქმის ყოველდღიურ მოვლენად იქცა. 2008 წლის ზაფხულთან შედარებით, როდესაც 150 კაცი გახდა ტერორისტული აქტების მსხვერპლი, 2009 წლის ზაფხულის თვეებში 436 კაცი დაიღუპა (24). თვითმკვლელი ტერორისტები კვლავ გამოჩნდნენ ჩეჩნეთში. 2009 წლის აგვისტოში ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა, როდესაც დარწმუნდნენ რომ მათი დაკავება პოლიციის მხრიდან გარდაუვალი იყო.

ტერორს ვერც რუსეთი გადაურჩა. ზემოთ ხსენებული თვითმკვლელი ტერორისტების მიერ განხორ-

ციელებული ტერაქტებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ თვითნაკეთი ბომბი აფეთქდა მოსკოვი-სანქტ პეტერბურგის რკინიგზაზე, რამაც იმსხვერპლა 28 ადამიანი, უამრავი მგზავრი დაიჭრა და დასახიჩრდა. დაიწყო ტერორიზმის ახალი ერა, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ჩეჩნეთით და რუსეთის სხვა მხარეებსაც ხშირად წვდება. 2010 წელს მოსკოვის მეტროში განხორციელებული ტერაქტის შედეგად დაიღუპა 39 კაცი, ხოლო 70-ზე მეტი დაიჭრა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა აიღო დოკუ უმაროვმა, რომელიც „ურჯულოთა" წინააღმდეგ გლობალური ჯიჰადის დაწყების მომხრე იყო (24).

2010 წლის ოქტომბერში ტერორისტები შეიჭრნენ გროზნოს პარლამენტში და სულ მცირე სამი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, ხოლო რამოდენიმე ათეული დაჭრეს. 2011 წლის აგვისტოში ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა შვიდი პოლიციელი და ერთი სასწრაფოს თანამშრომელი მოკლა. ტერაქტი განხორციელდა გროზნოს ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ უბანში, პარლამენტის შენობასთან ახლოს. (24) ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარებაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევია. რუსებს პერიოდულად კვლავ უწევთ ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარება ამ ქვეყანაში. ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2010 წელს ჩეჩნეთში მოხდა 37 აფეთქება და 12 ტერაქტი, რომელთა უმრავლესობა თვითმკვლელი ტერორისტების მიერ იყო მოწყობილი. შეიარაღებული შეტაკებების შედეგად, რომელიც მოხდა ჩეჩენ ბოევიკებსა და ძალოვან სტრუქტურებს შორის, დაიღუპა 124 და დაიჭრა 123 ადამიანი. მარტო 2010 წელს ჩეჩნეთში სამჯერ ჩა-

ტარდა ანტიტერორისტული ოპერაცია. (11) რუსეთის სპეცსამსახურებმა თავის მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს და ჩეჩნეთში ანტიტერორისტულ ოპერაციებს დასასრული არ უჩანს. 2012 წლის თებერვალში ჩეჩნეთისა და დაღესტნის საზღვარზე კვლავ ჩატარდა ანტიტერორისტული ოპერაციები, რომლის დროსაც დაიღუპა რუსეთის ძალოვანი უწყების 17 და დაიჭრა 24 თანამშრომელი.

როგორც ზემოთ ვახსენეთ ომმა ჩეჩნების რადიკალიზაცია გამოიწვია. თუ ჯოხარ დუდაევის და ასლან მასხადოვის მიზანი ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა იყო, ამჟამინდელ ჩეჩენ ლიდერებს უფრო რადიკალური მიზნები ამოძრავებთ და მათ მთავარ ამოცანას კავკასიაში ისლამური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენს. ახლანდელი ჩეჩენი ლიდერებისაგან განსხვავებით, არც დუდაევი და არც მასხადოვი არ გამოირჩეოდა ფუნდამენტალისტური აზროვნებით. მათ თავიანთი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ათეისტურ სახელმწიფოში, საბჭოთა კავშირში გაატარეს და ამიტომაც მათთვის არ იყო დამახასიათებელი რელიგიური ფანატიზმი. მასხდოვი საერთოდ არ იზიარებდა ჩეჩენი ბოევიკების, განსაკუთრებით ბასაევის ომის წარმოების ტაქტიკას და ტერორისტული აქტების განხორციელების წინააღმდეგი იყო. თუ ჩეჩნეთის პირველ ომს დანამდვილებით შეგვიძლია ვუწოდოთ ჩეჩნების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით ჩეჩნეთის მეორე ომზე, რომლის დროსაც უფრო რადიკალური ისლამური მიზნები ოყო წინა პლანზე წამოწეული ვიდრე დამოუკიდებლობა. ჩეჩნეთის პირველი ომის დროს მთელი მოსახლეობა მხარს

უჭერდა ჩეჩენ ლიდერებს და სრულიად იზიარებდა მათ იდეებს, რასაც ვერ ვიტყვით ჩეჩნეთის მეორე ომზე, რომლის დროსაც მოსახლეობა უფრო სკეპტიკურად იყო განწყობილი მათი რადიკალი ლიდერების მიმართ. დამოუკიდებლობა ჩეჩენი ხალხისათვის აღარ არის პრიორიტეტული, ვინაიდან თავისუფლებისათვის ბრძოლამ ჩეჩენ ერს ნგრევის, დიდი მსხვერპლისა და უდებურების მეტი არაფერი მოუტანა. 2003 წლის 23 მარტს ჩეჩნეთში ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა. ოფიციალური მონაცემების თანახმად გამოკითხულთა 95,5 პროცენტმა მხარი დაუჭირა ჩეჩნეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩენას. ხსენებული გამოკითხვის შედეგები იმის დამადასტურებელი საბუთია, რომ ჩეჩენ ხალხს უაზრო, სისხლისმღვრელი ომი მობეზრდა და მშვიდობა სურს.

ომმა და ეკონომიკურმა ბლოკადამ ჩეჩნეთის ეკონომიკას უდიდესი ზარალი მიაყენა, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც განადგურდა ჩეჩნეთის დედაქალაქი გროზნო, რომელიც წარმოადგენდა ქვეყნისათვის ძალზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრს, სადაც ხდებოდა ნავთობის მოპოვება და გადამუშავება, მანქანათმშენებლობა, ლითონების გადამუშავება და საკვები პროდუქტების წარმოება. თითქმის ერთი საუკუნეა რაც ჩეჩნეთის ეკონომიკის მთავარ დარგს ნავთობის მოპოვება წარმოადგენს. ჩეჩნეთში როდესაც ნავთობის წარმოება პიკს აღწევდა, ყოველწლიურად დაახლოებით 20 მილიონი ტონა ნავთობი მოიპოვებოდა. ქვეყანას ამჟამად გააჩნია დაახლოებით 50 მილიონი ტონა ნავთობის მარაგი. 1993 წელს ნავთობის მოპოვება იმდენად შემცირდა, რომ 3 მილიონ ტო-

ნას ვერ აღემატებოდა. ჩეჩნეთის მთელი ინდუსტრია რუსეთზეა დამოკიდებული და რუსეთიდან მასალების და ნედლეულის მიწოდების გარეშე არსებობა არ შეუძლია. უკვე რამოდენიმე წელია, რაც შეინიშნება წარმოებისათვის აუცილებელი ნედლეულისა და მასალების ნაკლებობა. არ ხდება მოძველებული და ომისაგან განადგურებული საწარმოებისა და ქარხნების აღდგენა. ჩეჩნეთში არსებული შიდა კრიზისის გამო ყველა რუსმა სპეციალისტმა ქვეყანა დატოვა, რამაც ეკონომიკური კრიზისის კიდევ უფრო გამწვავებას შეუწყო ხელი. ომმა მთლიანი ეროვნული პროდუქტის მკვეთრად შემცირება გამოიწვია. ქვეყანაში რეალური შემოსავალები ერთი მეოთხედით შემცირდა. დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდში აშკარად გამოვლინდა რუსეთზე აბსოლუტური დამოკიდებლება, განსაკუთრებით ენერგეტიკის სფეროში. თავისი ენერგეტიკული მოთხოვნილების 40 პროცენტის დაკმაყოფილებას ჩეჩნეთი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც კი რუსეთის მეშვეობით ახერხებდა. (4)

კონფლიქტის გამომწვევ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ხშირად ენერგორესურსებით მდიდარი კავკასიის რეგიონის დამორჩილება სახელდება. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების თანახმად კასპიის ზღვის აუზში დალუქულია მსოფლიოს ნავთობრესურსების დაახლოებით 5 პროცენტი და მსოფლიოს გაზის მარაგის დაახლოებით 6 პროცენტი. ამ რეგიონში სულ არის დაახლოებით 70-დან 90 მილიარდამდე ბარელი ნავთობი.

ცივი ომი, რომელიც ევროპაში 90-იან წლებში დასრულდა, ახლა კავკასიაში მძვინვარებს. ამ რეგიონში

მსოფლიოს ზესახელმწიფოებს შორის მიმდინარეობს დაპირისპირება საკუთარი სტრატეგიული ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ნავთობისა და გაზის რეზერვების ხელში ჩასაგდებად და მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად. რუსეთს სურს, რომ თავისი გავლენა კვლავ ვრცელდებოდეს ენერგორესურსებით მდიდარ რეგიონზე. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი და ალტერნატიული ენერგოდერეფნის საქართველოზე გავლა სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს რუსეთისათვის, რამაც შეიძლება წერტილი დაუსვას მის ჰეგემონობას კავკასიაში. მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები აშ.შ. და რუსეთი, ამ რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთს უკვე აშკარად უპირისპირდებიან. მოსკოვი ცდილობს კავკასიის რეგიონში თავისი გავლენის შენარჩუნებას და ამიტომაც აქტიურ ომებს აწარმოებს ჩეჩნეთში. ამერიკელები კავკასიაში მიმდინარე ამ ახალ ცივ ომს ხშირად „Great Game"-ის, „დიდი თამაშის" სახელით მოიხსენიებენ. (5) ამჟამად კავკასია არის ის რეგიონი, სადაც დასავლეთისა და რუსეთის ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები ერთმანეთს ეჯახება. ჩეჩნეთის დაკარგვა ავტომატურად გამოიწვევს ენერგორესურსებით მდიდარი კავკასიის დაკარგვას და ამ რეგიონში რუსეთის ჰეგემონობის დასრულებას. ჩეჩნეთის გამოყოფა რუსეთის ეკონომიკას უდიდეს ზიანს მიაყენებს. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა, კულიკოვმა 1996 წელს განაცხადა, რუსეთისათვის კასპიის ზღვის ენერგომატარებლებზე კონტროლის დაკარგვა იგივე იქნება, რაც რუსეთის მსოფლიო ბაზრისაგან იზოლაცია.

როდესაც რუსეთ-ჩეჩნეთის დაპირისპირებაზე ვსაუბრობთ, საჭიროა აღვნიშნოთ თუ რა გავლენა აქვს მას რუსეთის სახელმწიფოს შემდგომ განვითარებაზე. ჩეჩნეთის ომი უეჭველად დიდ გავლენას ახდენს რუსეთის შიდა პოლიტიკურ წყობაზე: ის ამცირებს რუსეთის დემოკრატიზაციის შანსებს და ხელს უწყობს ავტორიტარული რეჟიმის ფორმირებას. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვისი გამარჯვებით დამთავრდება ომი, ან როგორ განვითარდება მოვლენები ჩეჩნეთში, ვინაიდან ეს ომი რუსეთს არასოდეს სტაბილურობას არ მოუტანს და ყოველთვის იქნება ქვეყანაში შიდა არეულობის და არასტაბილურობის გამომწვევი ფაქტორი. ომი ხელს შეუწყობს როგორც ჩეჩენი საზოგადოების, ასევე რუსი მოსახლეობის კიდევ უფრო რადიკალიზაციას. რადიკალი ისლამისტი „ბოევიკების“ ხელშეწყობით ჩრდილოეთ კავკასია გადაიქცევა ექსტრემიზმისა და ტერორიზმის ბუდედ, რუსეთს კი სხვა გამოსავალი არ დარჩება, გარდა იმისა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ავტორიტარულ სახელმწიფოდ. რუსი ექსპერტის, ირინა კობრინსკაიას აზრით, რომ არა არადემოკრატიული რეჟიმი და პუტინის დიქტატურა, რუსეთს დაშლა დაემუქრებოდა. მისი აზრით დიდი იმპერიალისტური ამბიციების მქონე სახელმწიფოს არ შეიძლება, რომ სხვანაირი პოლიტიკური წყობა გააჩნდეს. (8) რუსეთი ეთნიკურად ჭრელი სახელმწიფოა, უფრო სწორად ის მულტინაციონალური იმპერიაა, რომელიც აუცილებლად დაშლისათვის იქნება განწირული თუ რუსეთში დემოკრატიზაციის პროცესი დაიწყო. ამიტომაც პუტინის დიქტატორული რეჟიმი აღიქმება, როგორც ქვეყნის ერთიანობის

ერთდერთი გარანტი. ჩეჩნეთში საომარი ოპერაციების დაწყებით, ვლადიმერ პუტინმა რუსი საზოგადოება გააერთიანა, ეფექტურად შექმნა მტრის ხატი „ჩეჩენი ბანდიტების“ სახით, რომლის წინააღმდეგ უნდა დარაზმულიყო და გაერთიანებულიყო რუსეთი. კავკასიაში წარმოებული ომების შედეგად კი რუსეთი საბოლოოდ ყალიბდება, როგორც არადემოკრატიული, ავტორიტარული სახელმწიფო, რომლისთვისაც უცხო ხილია ადამიანის უფლებები, ტოლერანტობა, ეროვნული უმცირესობების უფლებები, აზრისა და სიტყვის თავისუფლება ...

როგორც დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი ამბობდა „პოლონეთი და კავკასია, ორივე რუსეთისთვის ღია ჭრილობას წარმოადგენს.“ ტოლსტოის მოღვაწეობიდან ასი წლის შემდეგ კავკასია კვლავ რჩება რუსეთისათვის ღია ჭრილობად და რუსეთს ძალიან დიდი მსხვერპლის ფასად უჯდება ჩრდილოეთ კავკასიის შენარჩუნება. რუსი პოლიტოლოგების ერთი ნაწილი უკვე თვლის, რომ რუსეთმა საერთოდ უარი უნდა თქვას ჩრდილოეთ კავკასიაზე და საკუთარ პრობლემებს მიხედოს. რუსეთში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ რუსეთის მოსახლეობის უმეტესობა ჩეჩნეთისა და დაღესტნის დამოუკიდებლობის მომხრეა. კითხვაზე „სჭირდება თუ არა რუსეთს კავკასია?“, გამოკითხულთა 73%-მა განაცხადა, რომ მათთვის მისაღებია ჩეჩნეთისა და დაღესტანის რუსეთის ფედერაციიდან გასვლა. რუსეთის მოსახლეობა თვლის, რომ დანაშაულია კავკასიის განვითარებაზე რუსეთის ბიუჯეტის ხარჯვა და კავკასიელების გამოკვება, მაშინ როდესაც რუსების

უმრავლესობა შიმშილით იხოცება და ეკონომიკური სიდუხჭირისაგან სულს ღაფავს. (7) გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში ჩრდილოეთ კავკასიის შენარჩუნება ძალზე ძვირად უჯდება რუსეთის ხელისუფლებას, ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასია თითქმის 100 პროცენტით დოტაციურია. რუსეთის ხელისუფლებას ამჟამად უწევს არა მარტო კადიროვის პირსისხლიანი რეჟიმის დაფინანსება და გამოკვება, არამედ ასევე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმების შენახვაც, სადაც ყოველ წელიწადს დიდი რაოდენობით ფინანსები მიედინება რუსეთის ბიუჯეტიდან.

რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვები მოწმობს იმას, რომ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში სრული კრახისთვის არის განწირული. ჩეჩნეთში ჩადენილი დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და ჩეჩენი ერის გენოციდი რუსეთს ძვირად დაუჯდა და ბუმერანგივით შემოუტრიალდა ტერორიზმის სახით. პუტინი რეგიონში არსებული ეთნიკური პრობლემების მოგვარებას ძალისმიერი მეთოდებით ცდილობს, ხოლო ძალადობით, როგორც ჩეჩნეთის მაგალითმა დაგვანახა, ეთნიკური კონფლიქტების მოგვარება შეუძლებელია.

დასკვნა

რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია აქვს. კონფლიქტი სათავეს იღებს XVI საუკუნიდან, როდესაც კავკასია რუსეთის ინეტერესთა სფეროში მოექცა. ამ პერიოდში რუსები იწყებენ ციხესიმაგრეების მშენებლობას ჩეჩნეთის მიწაზე და თერგის ნაპირებზე კაზაკთა დასახლებების დაარსებას. თავდაპირველად ურთიერთობები რუსებსა და ჩეჩნებს შორის კეთილმეზობლური იყო და მთლიანად აგებული იყო ურთიერთპატივისცემის პრინციპზე. საწყის ეტაპზე ჩეჩნები იმედის თვალით შეჰყურებდნენ რუსებს და თვლიდნენ, რომ მათ შეეძლოთ ოსმალეთის იმპერიისა და ირანის აგრესიის შეჩერება კავკასიაში. რუსეთს დახმარებას და მფარველობას სთხოვდნენ ჩეჩნეთის სახელმწიფო მოღვაწენი.

კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის მალე დასრულდა, მას შემდეგ რაც რუსეთის მეფეებმა დაიწყეს აგრესიული კოლონიური პოლიტიკის გატარება ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩეჩნეთის საუკეთესო მიწებზე კაზაკები მასიურად დაასახლეს. რუსებსა და ჩეჩნებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა XVIII საუკუნეში, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ განახორციელა აგრესიული ექსპანსიონისტური პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების და შეიარაღებული გამოსვლების დაწყება ჩრდილოეთ კავკასიაში. 1785 წელს ჩეჩნეთის ეროვნული გმირის, მანსურ უშურმას მეთაურობით ყაბარდოსა და ჩეჩნეთში აჯანყებამ იფეთქა. მან საღვთო ომი – ღაზა-

ვათი გამოუცხადა რუსებს. აჯანყება ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელდა და მოიცვა საკმაოდ დიდი ტერიტორია. მოგვიანებით 1817-1864 წლებში იწყება ანტირუსული გამოსვლები, კავკასიის ომები, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ხუნძი პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე, შამილი. მან მოახეხა ჩრდილოეთ კავკასიელების გაერთიანება და თეოკრატიული სახელმწიფო – იმამატი შექმნა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მედგარ წინააღმდეგობას უწევდა რუს დამპყრობლებს. თუმცა რუსებმა დიდი გაჭირვებით მოახერხეს აჯანყებების ჩახშობა, ბრძოლა თავისუფლებისათვის ჩეჩნეთში მაინც არ შეწყვეტილა და საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგაც გაგრძელდა.

საბჭოთა იმპერიაში ჩეჩნები ყოველთვის ანტისაბჭოურ ელემენტებად ითვლებოდნენ, ამიტომაც კრემლი ყველა შესაძლო მეთოდით ცდილობდა მათ განადგურებას. ერთ-ერთი ასეთი ბარბაროსული მეთოდი იყო კავკასიელ ხალხთა გადასახლება შუა აზიაში. 1944 წლის 23 თებერვლს ჩეჩენ და ინგუშ ხალხს კრემლის აგენტებმა გენოციდი მოუწყვეს და ერთ დღე-ღამეში მთელი ერი შუა აზიაში გადაასახლეს. გადასახლებაში დაიღუპა მთელი ჩეჩენი ერის ერთი-მესამედი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩეჩნეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და განაახლა ბრძოლა თავისუფლებისათვის. რუსეთმა მსხვილმასშტაბიანი სამხედრო აქცია წამოიწყო ჩეჩნეთის საბოლოო დასამორჩილებლად, რაც შემდეგ რუსეთ-ჩეჩნეთის ომში გადაიზარდა და დიდი ზიანი მიაყენა როგორც პატარა ჩეჩნეთს, ასევ რუსეთის ეკონომიკას. გა-

ნადგურდა ქვეყნის ინფრასტრუქტურა, დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა, საგრძნობლად იმატა სნეულებების და ონკოლოგიური დავადებების რიცხვმა. ომმა გამოიწვია როიგორც რუსეთის მოსახლეობის, ასევე ჩეჩნების რადიკალიზაცია. იმატა ტერორისტული აქტების რიცხვმა როგორც ჩეჩნეთში, ასევე რუსეთის სხვა რეგიონებშიც. საგრძნობლად გაიზარდა ანტიკავკასიური განწყობა და ქსენოფობია რუსეთში. სოციოლოგიური გამოკითხვით დადგინდა, რომ რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის 70% ზიზღს განიცდის სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ.

რუსეთი ძალისმიერი გზებით ცდილობს ჰეგემონობის შენარჩუნებას კავკასიაში, ამიტომაც აწარმოებს მუდმივ ბრძოლას ჩეჩენი ერის წინააღმდეგ. კრემლი უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს ჩეჩნეთში და ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით ანადგურებს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, მშვიდობიან მოსახლეობას, ადამიანის უფლებათა აქტივისტებს... ხშრად რუსეთის სამხედრო აქციები ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ.

რუსეთი აგრძელებს კავკასიელ ხალხთა გენოციდის პოლიტიკას! მისი მიზანია კავკასიელების სრული დამორჩილება ან მათი სრული განადგურება. როგორც ჩეჩნეთის პირველმა პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „რუსიზმი ანადგურებს პატარა და დაუცველ ხალხებს. რუსეთი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ირჩევდა ყველაზე დაუცველ მსხვერპლს, რათა ბოლომდე მოესპო ფიზიკურად და ეჩვენებინა მსოფლიოსთვის შეხედეთ რა

ძლიერნი, ბოროტებით აღსავსენი და მტაცებელნი ვართო!“

რუსეთის მიერ ჩეჩნეთში ინსპირირებული კონ-ფლიქტების შედეგად დაიღუპა ათეულობით ათასი ადამიანი, ასეულობით ათასი კი დევნილებად იქცა. საერთაშორისო თანამეგობრობა ხმას არ იმაღლებს, რადგან რუსეთის „საშინაო საქმეებში“ ჩარევას ერი-დება. ეს კი „ხელ-ფეხს“ უხსნის კრემლს და საშუალე-ბას აძლევს მას გააგრძელოს თავისი დამპყრობლური პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩაიდინოს უფრო მეტი დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

ბიბლიოგრაფია:

1. Henrik Bischof (1995) Sturm über Tschetschenien: Rußlands Krieg im Kaukasus, available from World Wide Web: http://www.fes.de/research/fpolicy/sturm.html

2. Kerim Fenari, The Jihad of Imam Shamyl, available from World Wide Web: http://www.naqshbandi.org/naqshbandi.net/www/haqqani/sufi/NaqshSufiWay/Imam_Shamil.html

3. Diehl F, Karfurke N, Kühn M, Münch F, Tschesche A, Tschetschenien Schritte aus der Gewaltspirale, available from World Wide Web: http://fss.plone.uni-giessen.de/fss/fbz/fb03/institute/institut-fur-politikwissenschaft/Personen/birckenbach/lehre/lfp/dateien/tschetschenien/file/Dossier_Tschetschenien.pdf

4. Wagensohn, Tanja (2000) Krieg in Tschetschenien, available from World Wide Web: http://www.hss.de/uploads/tx_ddceventsbrowser/aktuelle_analysen_18_Krieg_in_Tschetschenien.pdf

5. Uwe Halbach, Öl und "Great Game im Kaukasus", available from World Wide Web: http://www.core-hamburg.de/documents/jahrbuch/04/Halbach-dt.pdf

6. Martin Brand (1999) Tschetschenien Russlands offene Wunde, available from World Wide Web: http://www.elo.bildung-rp.de/comenius/comenius_zeitung/undercon/bad_marienberg/chechnya/chechnya.htm

7. თეა ინასარიძე (2011) რუსეთში გამოკითხულთა 73 %, კავკასიის ჩამოშორების მომხრეა, available from World Wide Web: http://www.presa.ge/new/?m=politics&AID=8908

8. დალაქიშვილი (2010) რუსეთის შიდა პოლიტი-

კური წყობა, როგორც აგრესიული საგარეო პოლიტიკის მთავარი კატალიზატორი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის მაგალითზე, available from World Wide Web: http://adigest.wordpress.com/2010/07/13/%e1%83%a0%e1%83%a3%e1%83%a1%e1%83%94%e1%83%97%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a8%e1%83%98%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%9e%e1%83%9d%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98/

9. გოჩა გუნიავა (2010) ჩვენი მეზობელი ჩეჩნეთი, available from World Wide Web: http://expertclub.ge/portal/cnid__4202/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx

10. ტონი ჰალპინი (2010) შავი ქვრივები, available from World Wide Web: http://foreignpress.ge/?p=12210

11. ლომიძე, ლაშა (2011) კადიროვის ჩეჩნეთი, available from World Wide Web: http://kavkasia.ge/index.php?action=more&id=250&lang=geo

12. Ш.Б. Ахмадов, С.А. Исаев, С.А. Хасиев (2005) История Чечено-Ингушетии, available from World Wide Web: http://army.lv/ru/istoriya-chechni/1235/2906

13. ჯალაბაძე, ნათია (2008) „ეთნოსები საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008წ, available from World Wide Web: http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/qistebi.html

14. ქართლის ცხოვრება, I ტომი (2012) ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.

15. ქართლის ცხოვრება, II ტომი (2012) ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.

16. ექსპერტთა კლუბი (2011) ვაინახები და ქართველი მთიელები, available from World Wide Web: http://expertclub.ge/portal/cnid__7752/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx

17. Ваха Ибрагимов (2000) Тайная биография президента России.

18. ჯონ ფ. ბედლი (2012) რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა, გამომცემლობა ლიტერა, თბილისი.

19. Alexander Litvinenko & Yuri Felshtinsky (2007) Blowing Up Russia: The Secret Plot to Bring Back KGB Terror, Encounter Books, the University of Michigan.

20. Lyoma Usmanov (1999) The Chechen Nation: A Portrait of Ethnical Features, available from World Wide Web: http://www.truth-and-justice.info/chechnat.html

21. Edward Kline (1995) Chechen History, available from World Wide Web: http://www.newsbee.net/moscow/chhistory.html

22. Центральный государственный архив новейшей истории Грузии, фонд №600,Аопись. №1, дело №1218.

23. Lecha Ilyasov (2009) The Diversity of the Chechen Culture, available from World Wide Web: http://unesdoc.unesco.org/images/0018/001860/186004e.pdf

24. James Hill (2011) Chechnya, available from World Wide Web: http://topics.nytimes.com/top/news/international/countriesandterritories/russiaandtheformersovietunion/chechnya/index.html

25. Andrew E. Kramer (2009) Chechnya Is Gripped by Political Kidnappings, available from World Wide Web: http://www.nytimes.com/2009/07/19/world/europe/19chechnya.html?_r=1&ref=chechnya

26. ალა დუდაევა (2010) მილიონ მეერთე, წიგნი I, თბილისი, 2010.

27. ალა დუდაევა (2010) მილიონ მეერთე, წიგნი II, თბილისი, 2010.

28. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2000) საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, available from World Wide Web: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1398335

29. ლევან ალექსიძე (2008) თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი.

30. А. Авторханов (1983) МЕМУАРЫ, Possev-Verlag, V. Gorachek KG., Frankfurt/Main,

Printed in Germany, available from World Wide Web:

http://www.vtoraya-literatura.com/pdf/avtorkhanov_memuary_1983_text.pdf

31. Фридрих Боденштедт (1996) Народы Кавказа и их освободительные войны против русских, Дагкнигоиздат, Махачкала.

32. Tracey C. German (2003) Russia's Chechen War, RoutledgeCurzon, London.

33. Matthew Evangelista (2002) The Chechen Wars: Will Russia Go the Way of the Soviet Union?, Brookings Institution Press,Washington.

34. Emma Gilligan (2010) Terror in Chechnya: Russia and the Tragedy of Civilians in War, Princeton University Press, Princeton.

35. ვალერი მოდებაძე (2011) ერთიანი კავკასია: განუხორციელებელი იდეა თუ ხვალინდელი რეალობა, „ინტელექტუალი" საერთაშორისო სამეცნიერო

ჟურნალი №16, თბილისი.
36. ალექსანდრე დიუმა (2014) კავკასია, ტომი II, გამომცემლობა პალიტრა, თბილისი.